# საერთო გაზეთი

№5 (686)
ოთხშაბათი
15 თებერვალი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


## ევროპა მიხრწნილ მინოტავრს დაემსგავსა

როგორ ბედავენ დღევანდელი ევროპარლამენტარები საქართველოზე ვაგლახად ხმის ამოღებას, ოდნავ მაინც გაწითლდნენ სირცხვილით. დღეს თავი რომ გამოუდ-ვიათ სწორედ რომ რაღაც ევროპარლამენტით, ხოლო ცალკეულ პირებს კი ევრო-პარლამენტარობით, განა ახლახან არ მოუხსნეს იმუნიტეტი და დააკავეს ხუთი ეჭვმიტანილი ევროპარლამენტარი? როცა მათი კოლეგა ევროპარლამენტარები დაკავებულები არიან ჯერ მხოლოდ კორუმპირებულობის ბრალდებით, გამოძიე-ბის დასრულების შემდეგ კიდევ რა გამოჩნდება, ვნახავთ. კორუმპირებული ევრო-პარლამენტარებიო?! – ნეტავ, რა გასაკვირია მათი კორუმპირებულობა?





### შოთა გლურჯიძე: სამართალი აქ უნდა აღსრულდეს და არა სტრასბურგში!

ქართველი ვარ და როგორღა უნდა შევდგე ქართველად?! ჩვენ ევროპული კულტურის ნაწილი ვართ...

### ნანა კაკაბაძე: მორჩა კინო, ჭამე, მიშა, ჭაამეე!

ხალხი, რომელმაც „გადმომტრიალებლები“ 2012 წელს პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა, არსად გამქრალა



# ЦРУ სნეული



მიშა – მზე, ვანო – მთვარე, ნაცელიტა – ვარსკვლავები

## ქართულ მედიაში ჩაკარგული სამი ძირითადი პრინციპი

## ანზორ თოთაძე: თუ 2030 წელს 30 ათასი ბავშვი არ დაიბადა, ეს ქვეყნის დასასრულს ნიშნავს

## ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს!

## ემანუელ მაკრონი: „უნდა ვაიძულოთ ვლადიმირ პუტინი, მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდეს“

# ძლევაი საკვირველი!

# ევროპა მიხრწნილ მინოტავრს დაემსგავსა



„ევროკავშირი მკვდარია, თუმცა ჯერ არ იცის ამის შესახებ“.

მარინ ლე პენი

## ჰოდა, რატომ ეკიდება საქართველო „მკვდარზე ვენოკად“?

„ძალიან მკაფიოდ ვამბობთ, რომ თქვენ ვერ მიიღებთ სტატუსს, თუ არ ითამაშებთ ჩვენი წესებით!.. ვიმედოვნებთ, რომ მმართველი პარტია გააცნობიერებს, რა შედეგები ექნება, თუ ევროპული პარლამენტის რეზოლუციას არ მიიღებენ მხედველობაში მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში წარმოუდგენელი იქნება კანდიდატის სტატუსის მიღება. ეს იქნება გზავნილი ევროპარლამენტისა საქართველოს მთავრობის მიმართ და მე მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, სათანადო ზომები მიიღოს ამ საკითხის გადასაჭრელად“, — „მთავარი არხის“ ეთერში განაცხადა ევროპარლამენტარმა ანდრიუს კუბილიუსმა.

„თუ გინდათ, რომ იყოთ კანდიდატი, ან ევროკავშირის წევრი, თქვენ უნდა იცავდეთ ევროპის ღირებულებებს. წარმოგიდგენიათ, რომ ევროპული ოჯახის წევრი გახდეს ქვეყანა, რომელიც ყოფილ პრეზიდენტს ისე ეპყრობა, როგორც ამას საქართველო აკეთებს?..“ — თავის მხრივ ვიოლა ფონ კრამონმა გვითხრა მეგობრულად და მიეწყვნენ, ერთხმად დაიწყეს მასირებული დანამუსება მოხალისე ევროპარლამენტარებმა.

მნიშვნელოვნად გამარტივდა თვით ყველაზე საქმეში ჩაუხედავისთვისაც კი იმის გაგება, რატომ მიმდინარეობდა ასეთი გააფთრებული ბრძოლა სასამართლო სისტემის ხელში ჩასაგდებად. თუ თავისას გაიტანდნენ, მიხეილ სააკაშვილი და არა მხოლოდ იგი, ბევრი მისი ყოფილი ზონდერლაქიაც გარეთ იქნებოდა და გამწარებული ხალხი რას მოიმოქმედებდა, კაცმა არ იცის...

ძალზე სამწუხაროა, რომ ჩემი ბავშვობისდროინდელი ოცნების ევროპა მიხრწნილ მინოტავრს დაემგვანა...

გუშინ: „ჯვაროსნული ომები“, ინკვიზიცია, პაპის ინდულგენციები, სიმონია, გილიოტინა... — დღეს გაჰუმანურებული ევროპარლამენტარები...

ქართველებს გვაქვს ასეთი გამოთქმა, „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს იწველიდესო“...

როგორ ბედავენ დღევანდელი ევროპარლამენტარები საქართველოზე ვაგლახად ხმის ამოღებას, ოდნავ მაინც გაწითლდნენ სირცხვილით. დღეს თავი რომ გამოუდვიათ სწორედ რომ რაღაც ევროპარლამენტით, ხოლო ცალკეულ პირებს კი ევროპარლამენტარობით, განა ახლახან არ მოუხსნეს იმუნიტეტი და დააკავეს ხუთი ეჭვმიტანილი ევროპარლამენტარი? როცა მათი კოლეგა ევროპარლამენტარები დაკავებულები არიან ჯერ მხოლოდ კორუმპირებულობის ბრალდებით, გამოძიების დასრულების შემდეგ კიდევ რა გამოჩნდება, ვნახავთ.

კორუმპირებული ევროპარლამენტარებიო?! — ნეტავ, რა გასაკვირია მათი კორუმპირებულობა?

მტკიცებულება, შესაძლოა, არ გქონდეს, მაგრამ „გონივრული ეჭვი“ ჭეშმარიტება გამოდგეს...

საინტერესოა, რა ამოძრავებთ ასე ერთხმად, მართლაც რომ ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მყოფ კრებსით კუბილიუსებს, საქართველოში მსჯავრდებულ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის სამარცხვინო ქმედებებზე სახეზე ალმურის ავარდნის ნაცვლად, საქართველოს დაშანტაჟება ღიად რომ დაიწყეს და „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკასავით“ სახეში მოგვახალეს?

სანამ ვინმე რასა იუკნევიჩიენე იენამჭევრებს, საქართველოს დებიძინიზაცია და დეოლიგარქიზაცია სჭირდება, ბიძინა ივანიშვილს ეკისრება პასუხისმგებლობა სააკაშვილის დაკავებაზე, რაც მისი პირადი ვენდეტის ნაწილიაო, იქნებ, ჯერ საკუთარი თავისთვის ეკითხა: რა მრჯის, ვინმე მიხეილ სააკაშვილს დამცველად რომ ვუდგები და თავს ვესხმი კონკრეტულ პირს, ხოლო საკუთარი კოლეგა ევროპარლამენტარების დასაცავად ენას უქმად არ ვატრიალებ, რას ბრძანებთ, უმწიკვლონი არიანო? ის არაპატივსაცემი ევროპარლამენტარებიც ბიძინა ივანიშვილის ვენდეტას მსხვერპლნი არიან?

ევროპარლამენტის მხრიდან საქართველოს მიმართ ამგვარი უპატივცემულობა და ქორვაჭრობა პირველი შემთხვევა რომ იყოს, კიდევ იფიქრებდი ადამიანი, რაღაც ვერ გაიგეს სწორად, ვერ გაერკვნენ ბოლომდე, მწირი ინფორმაცია ჰქონდათ და გაუგებრობაში აღმოჩნდნენო, მაგრამ უკვე მესამე შემთხვევაა, როცა წარმოუდგენლად სახიფათო რეზოლუციებს იღებს, თითქოს ღვთივკურთხეული დამრიგებელი ორგანო იყოს დასავლეთ ნახევარსფეროში...

კარგად დაერთო ევროპარლამენტის სამარცხვინო პოლიტიკურ რეზოლუციას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება. საინტერესოა, ახლა სტრასბურგის სასამართლოს დაადანაშაულებენ და სააკაშვილის წინააღმდეგ მიმართულ ვენდეტად მონათლავენ იმ ჭეშმარიტებას, რომ „ნაცრეჟიმი“ და უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი იყო სისტემური წამების შემოქმედი?

ასე აშკარა (თუნდაც შეფარული იყოს) თავდასხმა სხვა ქვეყნის კანონზე, ეროვნულ ინტერესებზე, ფასეულობებზე, ღირებულებასა თუ სხვა მრავალ საკითხზე, გარდა იმისა, რომ უზარმაზარ სახიფათო ბზარს აჩენს ევროპარლამენტისა და საქართველოს ურთიერთთანამშრომლობაში, საქართველოს მოქალაქეებს უარყოფითად განაწყობს ევროღირებულებების მიმართ.

ხალხისთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, არანაირად და ვერანაირად ვერ იქნება ღირებული ნებისმიერი „კავშირის“ რაღაც ჩანაწერი, რომელიც მისი მოქალაქეობრივი შეგნების წინააღმდეგაა მიმართული!

ვერ ვიტყვი, რა ხალხია (მასა) ევროპაში, მაგრამ საქართველოში ხალხი არც ბრბოა, რომ ვინმემ ყურით ათრიოს და არც ცარიელი ქვევრი, რასაც ჩასძახებენ, ის რომ ამოსძახოს!..

ფუნდამენტური უფლებებისა და დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპების შელახვაა, როდესაც ფაქტების მანიპულაციით ხდება სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა. როდესაც ადგილი აქვს „სამართლიან სასამართლოზე“ გადაბიჯების მცდელობას კი არა, გამოცხადებულად არაფრად ჩაგდებას და მრავალთა „ცხვირის ჩაყოფას“ არაერთ საქმეში, იმ ქვეყნის ხალხის კანონიერი უფლებაა უარი თქვას ამგვარ „კეთილმოსურნეებთან“ ურთიერთობაზე და ზურგი აქციოს.

ევროპულ ქვეყნებში რაღაცაზე გაბრაზებული ადამიანები გვინახავს — ამტვრევენ ვიტრინებს, აყირავებენ და წვავენ ავტომობილებს, ანგრევენ ყველაფერს რისი დანგრევაც შესაძლებელია შიშველი ხელებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ვანდალურად იქცევიან; საქართველოში ერთი ფოთოლი არ ჩამოვარდნილა „გაბრაზებული ხალხის“ მიზეზით — **საქართველო ის ქვეყანაა და ქართველი ხალხი ის ხალხია, რომელიც გაბრაზებულ გულზე ხომალდებს კი არ ერჩის, არამედ პორტებს წვავს...**

არცთუ დიდი ხნის წინათ თქვა მამუკა მდინარაძემ (კუბილიუსების თითის დაქნევამდე), რომ ყოფილა რაღაც მოტივები, რის გამოც რეფორმების, კრიტერიუმებისა და შეფასების მიხედვით პირველ ადგილზე მდგომ საქართველოს მაინც არ მიეცა კანდიდატის სტატუსი, ხოლო უკრაინასა და მოლდოვას ლანგრით მიართვეს. მაშასადამე, რაღაც სხვა რამ არსებობს მოტივ-მიზეზად და თუ ეს „სხვა რაღაც“ დაიდო ისევ, შეიძლება, კვლავ არ მოგვცენ სტატუსი და ასეთ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავთ, რომ ვთქვათ, რა იყო ის „სხვა რაღაცო.“

ახლა, როდესაც კუბილიუსებმა პირდაპირ მოგვიღერეს მუშტი სრულიად საქართველოს და დაგვექადნენ, თქვენი სტატუსის მიღება დამნაშავე მიხეილ სააკაშვილის ნების აღსრულებაზე გადისო, ამას გარდა თუ კიდევ არის „რაღაც სხვა“, ბატონი მდინარაძე აღარაფერს უნდა დაელოდოს, ვალდებულიც კი არის, ურმის გადაბრუნებამდე თქვას სათქმელი. ასეა, თუ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არ აპირებს საკუთარი მონაპოვრის გაცამტვერებას და კრებსით კუბილიუსებთან ხელჩაკიდებულ სიარულზე მაღლა საკუთარ ხალხთან ჩახუტება დააყენა.

ზოგადად კი, კარგად თუ ჩაეძიენ „ნაწამებ“ ევროპარლამენტარ „ევა კაილის და მეგობრებს“, იმდენი კორუმპირებული ევროპარლამენტარი ამოფრთხიალდა ერთ შებერვაზე, შესაძლოა მეორე და მესამე შებერვაზე ბევრად მეტი ამოჰყვეს და თანაც ბევრად მსუყე...

**მათი შემხედვარე, ისიც კი შეიძლება იფიქროს ეჭვიანმა ადამიანმა, ამათ ქრთამი უნდათ, კანდიდატის სტატუსი რომ მოგვცენ, ანდა, სულაც რომ ჩამოგვეხსნანო...**

ვგონებ, 30 წელზე მეტია, რაც ევროკავშირზე თურქეთს უჭირავს თვალი, მაგრამ საშველი არ ადგება, არ უნდათ მისი წევრობა და იხვევენ ხელზე დღეს-ხვალეობით (სერბეთი 10 წელია), მაგრამ არ მახსენდება, თურქეთს ქედი მოედრიკოს და ევროკავშირში გაწევრიანების გამო თურქეთისა და თურქი ხალხის მენტალიტეტისთვის მიუღებელი კანონები და გადაწყვეტილებები მიეღო. ჩვენ რაღამ დაგვაძაბუნა?

ფარა ვართ თუ თავმოყვარე ერი, თავმოყვარე სახელმწიფო, გვჭირდება კი ნებისმიერი სახის მბრძანებელი, მით უმეტეს, კრავის ქურქში გახვეული მგელი?!

არჩილ თალაკვაძე გაოგნებულიღა იყო: ჩემთან შეხვედრისას,






როდესაც რეალურ სიტუაციას ვუხსნიდი, სრულიად სხვა რამეს ლაპარაკობდა კუბილიუსი, ბევრ რამეზე არცკი ჰქონდა პასუხი, მაგრამ საჯაროდ სულ სხვა რამეს ლაპარაკობსო. ამაზეა საუბარი, ამ ორსახოვნებაზე, რომელიც მათი სურვილისამებრ მრავალსახოვნებადაც გადაიქცევა, თუ მათ საქმეს წაადგება და დასჭირდება, ეს ხომ მხოლოდ კუბილიუსის პოზა არ არის. კოლექტიურ კუბილიუსებს ასეთივე წარმატებით შეუძლიათ ორპირიანობაც და მრავალპირიანობაც, „დაუძინებელ მეგობრებსაც“ და „კეთილმეგობრულ მბრძანებლებსაც“...

დიახ, მბრძანებლობაა, როდესაც მრავლობითი კუბილიუსები ულტიმატუმის ენით გველაპარაკებიან და გვიცხადებენ, ვერ მიიღებთ კანდიდატის სტატუსს, თუ ჩვენი წესებით არ ითამაშებთო!

რასაც ჩვენ „ევროინტეგრაციისკენ სწრაფვას“ ვუწოდებთ, მათთვის მათი თამაშის წესების კრებულისათვის დამორჩილება რქმევია, თანაც ისეთი მიუღებელი წესებისთვის, როდესაც ფეხზე უნდა დაიკიდო ენაც, მამულიც, სარწმუნეობაც, კანონიც, სამართალიცა და შემდეგ ყველაფერი დანარჩენი, რაც მთლიანობაში ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებია.

საქართველოს ყველა ხელისუფლების მხრიდან კოლექტიური დასავლეთის მაამებლობამ საკმარისზე მეტად გაანაწყენა საქართველოს მოქალაქეები, ერთ წვრილ ძაფზეღა ეკიდა ხალხის მოთმინებით სავსე ფიალა და მას „არ შეიწყალო კრიმინალი სააკაშვილი“ ერქვა და ახლა ამათ დამიხედეთ, ამ გაქსუებულ მეტიკვნიტა უსაქმურებს, ევროპარლამენტარები რომ ჰქვიათ და ვითომ რაიმე სასარგებლო საქმიანობას ეწევიან — გაათავისუფლეთ სააკაშვილიო!

რასაც საკუთარი თვალით ვხედავთ და ყურით ვისმენთ, ორსახოვნება, ორპირობა, შანტაჟი — ეს არის დღევანდელი ევროპული ღირებულებები? მივისწრაფვით, რომ ჩვენც მათი მსგავსი გავხდეთ?

რამდენ ევროპარლამენტარს შეუძლია, რუკაზე მიუთითოს, სად მდებარეობს საქართველო, რამდენ მათგანს აქვს წარმოდგენა ზოგადად, საქართველოზე, კონკრეტულად კი მიხეილ სააკაშვილის ავკაცობაზე; რატომ შეიკავა თავი 26-მა ევროპარლამენტარმა, არც მწვადი დაწვეს და არც შამფური, თუ რა ხდება მათ თავს, რანაირად შეიძლება ჩამოყალიბებული ხედვა და აზრი არ ჰქონდეს ჭკუისსაკითხავ (ვითომ) ადამიანს? იმ 33 ევროპარლამენტარის ვინაობა კი, რომლებმაც არ გაიზიარეს ყოვლად უმგვანო რეზოლუციის შინაარსი, ძალიან მაინტერესებს — იმ გონიერი და პირუთვნელი ევროპარლამენტარებისა...

როგორც ვხედავთ, ევროპარლამენტის არცერთი რეზოლუცია არ გაიზიარა არც ევროპულმა საბჭომ და არც ევროპულმა კომისიამ — ეს მოცემულობა სერიოზულად მაინტერესებს, რეზოლუციის მიმღები 577 ევროპარლამენტარის გადაწყვეტილება უცნაურად მეჩვენება, თუ მართლაც უცნაურია?

სამწუხაროდ, უტყუარი მტკიცებულებების უქონლობის გამო თითს ვერავის დავადებთ, კვლავ მხოლოდ „გონივრული ეჭვით“ შეგვიძლია ვთქვათ ის, რასაც „შეთქმულების თეორია“ დაარქვეს რატომღაც, არადა, ფაქტობრივი შედეგები სახეზე გვაქვს.

რამდენადაც ვიცით მიხეილ სააკაშვილის სიმხდალის ხარისხი, რომ არა დიდი დადგმული სპექტაკლის ნაწილი, ის არაფრით შემოვიდოდა საქართველოს ტერიტორიაზე, არათუ განუბაჟებელ არაჟნად შემოატანათ. გაიხსნა ფარდა. გამოჩნდა პირველი მსახიობი მისი სახით. რა უნდოდა საქართველოში ამ ადამიანს, რა მიზნები ჰქონდა ქვეყნის ნაპრეზიდენტალს, რომელმაც თავისი სურვილით თქვა უარი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე, წიხლი ჰკრა საკუთარ სამშობლოს, სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო და სამარცხვინოდ „ჩამოლაბორანტდა“?!

არავისთვის არის უცხო და სიახლე, თუ ვიტყვით, რომ სააკაშვილს იმ დროისთვის ჯერ კიდევ ჰქონდა საკმარისი წონა და რესურსი, რომ დიდი დაპირისპირება მომხდარიყო, კიდევ ერთი ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი ამტყდარიყო. ისევ სისხლი, სისხლი და სახელმწიფო გადატრიალება, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა „მეორე ფრონტის“ გახსნა და კიდევ უფრო მეტი სისხლი და სისხლი...

ვიღაცამ (ვიღაცებმა) რაღაც ვერ გათვალა სწორად, თუ რა მოხდა? ასე აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილი ჩამოტყუებულ-შემოტყუებული, ხომ საკუთარი პირით აღიარა. შესაბამისად, მიხეილმა კარგად იცის, ვისთან ჰქონდა შეთანხმებული საკუთარი ნაბიჯები, მაგრამ დუმს. ნეტავ, რატომ? ნეტავ, რატომ ამჯობინა მათ დასახელებას არტისტობა და თვითგვემა ურჩევნია?!

რა თქმა უნდა, ასეთი სცენარი ხელს აძლევდა ყველა იმ „დაუძინებელ მეგობარს“, ვისთვისაც ყოვლად მიუღებელია საქართველოს დღევანდელი თავნება ხელისუფლება. დიახ, უნდა შეცვლილიყო ხელისუფლება ყველანაირი მეთოდის გამოყენებით და პაზლივით აეწყობოდა ყველა განზრახვა. წყალსა და მეწყერს არ წაუღია საქართველო და მისი ყველა მოქალაქე?!

დიახ, რაში სჭირდება კრებსით დასავლეთს ის ურჩი საქართველო, რომელიც არანაირ ავანტურაზე არ თანხმდება, არც „სამეფო კარის ინტგიგებში“ სურს მონაწილეობის მიღება და არც იმ მურიად მიიჩნევს თავს, რომელმაც სხვების სახეიროდ საკუთარი თავი უნდა შეაჭმევინოს მგელს.

დიახ, არ სჭირდებათ ჩვენს „დაუძინებელ მეგობრებს“ საქართველოს ისეთი ხელისუფლება, რომლსაც მხოლოდ ერთი საზრუნავი აქვს: აკეთოს ის, რაც საქართველოს მომავალსა და მისი მოქალაქეების კეთილდღეობას სჭირდება — ემსახურონ საქართველოს!

ვენაცვალე ალალად ნათქვამ ნაფიქრალში კახა კალაძეს: ნუ, არ მოგვცემენ და თავისთვის დაიტოვონ ეგ სტატუსი!

ბატონი ღარიბაშვილისა არ იყოს, დრო გვიჩვენებს, სად ვართ, სად იქნება რეგიონი და ევროპა უკრაინის ომის შემდეგ...

„ევროკავშირი მკვდარია, თუმცა ჯერ არ იცის ამის შესახებ“, — თქვა მარინ ლე პენმა, რომელსაც საეჭვოდ მცირე უპირატესობით მოუგო საპრეზიდენტო არჩევნებში ემანუელ მაკრონმა.

ვიღაცამ გაიხსენა: გურიაში, გარდაცვლილ დედამთილს რძალმა დაატირა, შე უბედურო, ისე როგორ მოკვდი, რომ არ იციო. რას ამბობო, — ჩაეკითხნენ მეზობლები, — ეძინა და ძილში გარდაიცვალაო...

ფაქტობრივად, იგივე თქვა მარინ ლე პენმა, ევროკავშირი ისე გაერთო საკუთარი რეპუტაციის ყოველმხრივ შერყვნაში, ისიც კი არ იცის, როდის გარდაიცვალა, არათუ ის, რომ თურმე გარდაცვლილა...

ჰოდა, რატომ ეკიდება საქართველო „მკვდარზე ვენოკად“?!

**ნინო დაუშვილი**

## ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა



„კიდევ ერთხელ მინდა ჩვენს საზოგადოებას ვუთხრა, ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პოლიტიკას. ყველაფერი უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას. ჩვენ რომ სხვა ნაბიჯები გადაგვედგა, კარგად გვესმის, რომ საერთოდ არავითარ ეკონომიკურ კეთილდღეობაზე საუბარი არ იქნებოდა. ვიმყოფებოდი მიუნხენში, მოგეხსენებათ. ნახეთ, რომ ძალიან რთული ვითარებაა, გამოსავალი არ ჩანს. არ იციან, როდის დასრულდება უკრაინაში ომი. საერთოდ, გამოსავალი არ ჩანს ამ სიტუაციაში. ასე რომ, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა და იმ ინტერესების გატარება, რომელიც მხოლოდ ჩვენს ხალხს და ქვეყანას სჭირდება. ეს არის ჩემი მთავარი სათქმელი“.

## სამართლიანი ვაჭრობა

„ჩემი დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო ახლა მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროდირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. ამიტომ, ჩვენ პარალელურად გავაგრძელებთ მუშაობას იმპორტიორებთან, ასევე, დიდი ქსელების წარმომადგენლებთან და პარალელურად, ჩვენ ასევე წარვუდგენთ ამ კანონპროექტს პარლამენტს და მინდა გამოვთქვა იმედი, რომ პარლამენტის მხრიდან მხაობა იქნება და ეს დაადასტურეს და მხარს დაგვიჭერს, რომ ევროდირექტივა, ეს რეგულაციები შემოვიღოთ ჩვენც. სხვანაირად უხეში იქნება ჩვენი მხრიდან რაღაც ხელოვნური ჩარევები განვახორციელოთ, ამიტომ, გამოვნახეთ გზა, რომ ისეთი პრაქტიკა, რომელიც ევროპამ უკვე გაიარა, ჩვენც გადმოვიტანოთ ჩვენს ქვეყანაში. ამით რეალურად სამართლიანი წესები დაწესდება. იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე რითეილს ექნება თავისი განსაზღვრული წესები. ეს არის გამოსავალი, რაც ამ მოკლე ორკვირიანი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაგონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს ხალხზე აისახება.

## ანაკლიის პორტის მშენებლობა

„დღეს ჩვენ დავიწყებთ ოფიციალურ მოქმედებას, რომელიც უკავშირდება ანაკლიის პორტის მშენებლობას. ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს შესაბამის პროცედურებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება არის შემდეგი, ამ პორტის 51% იქნება სახელმწიფოს კუთვნილება, 49 %-ზე გამოვაცხადებთ საერთაშორისო ტენდერს და მოვიწვევთ პოტენციურ ინვესტორებს, მაგრამ ჩვენ არ დაველოდებით მათ შემოსვლას, ჩვენ დავიწყებთ წელს სამუშაოებს. ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, წელსვე დავიწყოთ ანაკლიის პორტის მშენებლობა. ასევე აქტიურად გრძელდება გზების, მაგისტრალების მშენებლობა, აეროპორტის გაფართოების და სხვა კონცეფციებზე ვმუშაობთ აქტიურად. ასე რომ, ყველა მიმართულებით გვაქვს პოზიტიური სიახლეები“.

## კახა კალაძე: ეს არის ქართული კანონი



დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, „ხალხის ძალის“ დეპუტატების მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს რუსულ კანონთან არანაირი კავშირი არ აქვს.

„დავიწყებთ კანონპროექტის განხილვას. ჩვენთვის მთავარი არის ის, რომ ადამიანის უფლებებთან არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში. გამჭვირვალობა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ეს დღეებია, ვისმენთ ბევრ არასწორ, ცრუ ინფორმაციას, თითქოს ეს არის რუსული კანონი. არანაირი კავშირი რუსულ კანონთან არ აქვს. ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ინტერნეტთან წვდომა აქვს, შეუძლია ძალიან მარტივად მოიძიოს სხვა ქვეყნებში, თუნდაც ამერიკასა ან უნგრეთში მიღებული კანონი, რომლებიც არის უფრო ხისტი. რუსულ კანონთან პარალელის გავლება ფიზიკურად შეუძლებელია“.

„არანაირი საფრთხე ორგანიზაციების დახურვის არ არსებობს. ზოგადად, ჩვენ გვეუბნებიან, რომ რაღაც ასე გავაკეთოთ, რაც სწორი არაა. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, რომელსაც აქვს თავისი კონსტიტუცია, კანონები. ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, პარლამენტი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ისეთ კანონს არ მივიღებთ, რომელიც კონსტიტუციასთან და ადამიანის უფლებებთან წინააღმდეგობაში მოვა. მიზანმიმართული კამპანია, რომ თითქოს ეს რუსული კანონია, დიდი სიცრუეა. ეს არის ქართული კანონი“.

არ არის საინტერესო არც ზახაროვას და არც იმ ე.წ. მეგობრების განცხადებები სააკაშვილზე, რომლებიც შანტაჟის ენით გვესაუბრებიან

„ჩვენ ვიცავთ კონსტიტუციას, ვიცავთ კანონებს, პატივს ვცემთ ჩვენს სამშობლოს, პატივს ვცემთ მოსახლეობას და, რა თქმა უნდა, კანონის წინაშე არ აქვს მნიშვნელობა, შენ ხარ პოლიტიკოსი, ჟურნალისტი, ჩვენ ყველა ვართ თანასწორუფლებიანი“.

# სამართალი აქ უნდა აღსრულდეს და არა სტრასბურგში

## ქართველი ვარ და როგორღა უნდა შევდგე ქართველად?! ჩვენ ევროპული კულტურის ნაწილი ვართ, რას ჰქვია, უნდა შევდგეთ?!



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:*

**— ბატონო შოთა, ქართველი ერი ისტორიული არჩევანის წინაშე დგას — ან ქართული სახელმწიფოს ინტერესების ადეკვატურად უნდა ვიმოქმედოთ, ან იმ ვირტუალურ პოლიტიკურ სპექტაკლში დავრჩებით, რომელსაც ფინალი არ აქვს...**

— საქართველო ამ ისტორიული არჩევანის წინაშე ყოველთვის იდგა, გარდა იმ სამი საუკუნისა, როცა ქვეყანა საკმაოდ ძლიერი იყო. ეს ბიზანტიიდან და ირანიდან გარე ზეწოლის დასუსტებამ განაპირობა. ამ პერიოდს აღორძინების ხანას ვეძახით. ყველა ერის ისტორიაში დგება მომენტი, როცა მას კომპრომისებზე წასვლა უწევს. ნატოც ხომ ერთგვარი კომპრომისია. ჩვენ ისეთივე ძლიერი ქვეყანა რომ ვიყოთ, როგორიც აშშ-ია, არც ნატო დაგვჭირდებოდა და არც სხვა გაერთიანებები. იქ პირიქითაა — ნატო მთლიანად აშშ-ზეა მიბმული. ფაქტობრივად, აშშ მთელ ევროპას ნატოს მეშვეობით მართავს. არ გამოვრიცხავ, საქართველოს რაღაც ეტაპზე დათმობაზე წასვლა და ისეთი პოზიციის დაკავება მოუწიოს, რომ ასეთ ბობოქარ, რთულ პერიოდში ნაკლებად დაზარალდეს. ჩვენ უნდა გადავრჩეთ, რათა საქართველოში აღორძინების მეორე ხანა დაიწყოს. რა თქმა უნდა, ეს რთული ამოცანაა და როდი ნიშნავს, რომ ჩვენთვის ფასეული რაღაცები დავთმოთ. დღევანდელ სამყაროში კომპრომისი გარდაუვალია.

**— საქართველო თავისი კულტურით, მენტალიტეტით ხომ ისედაც ევროპაა. დღეს რა ხდება — ჩვენ ვართ ევროპა, მაგრამ თვითონ ევროპა დაიკარგა, როგორც ევროპა.**

— შეიძლება ევროპისთვის ჩვენც სასარგებლო ვიყოთ, თითქოს საქართველოში დაკონსერვებული წლების შემდგომ ის მატრიცა გადარჩა, რომელზეც მერე ევროპა აღორძინდება. ეს ეხება როგორც ჩვენს ჩრდილოელ, ისე დასავლელ მეზობლებს. ჩვენ ამ საქრისტიანოს ნაწილი ვართ. დღეს ევროპაში სახეზეა ქრისტიანული ცივილიზაციის მძიმე კრიზისი. საქართველოში ყოველივე გარკვეული სახით მაინც გადარჩა. ევროპასთან ურთიერთობას კრიტიკულად კი არა, იმ კუთხით შევხედოთ, თუ რაოდენ დიდი სარგებელი შეგვიძლია მოვუტანოთ მას, როგორც დაკონსერვებულმა მატრიცამ. ასე ევროპა ამ ცივილიზაციაში დაბრუნებას შეძლებს.

**— ევროპაში ყოველთვის არის რისკი. ანუ, დღეს ეს რისკი ქრისტიანობის საფუძვლებს მოწყვეტაა?**

— ევროპისთვის ქრისტიანული კულტურა უმნიშვნელოვანესი რამ არის. თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ ევროპის პოლიტიკური პარტიები, ხელისუფლებები იგივე გზას ადგანან. ოთარ იოსელიანმა შესანიშნავად თქვა: ქართველი ხალხი ქართული კულტურის მცველი, მატარებელიაო. აქვე, თუ მთავრობასთანაც სიმფონიური ურთიერთობა გაქვს და მას დაშორებული არ ხარ, ეს ქვეყნისთვის უკეთესია, რადგან ასე დევნას არ განიცდი. სწორედ მაშინ ჩნდება ის ფანტასტიკური პერიოდი, რასაც რენესანსს ეძახიან. ამიტომ რუსეთის ან ევროპის მიმართ ხელაღებით თქმა: ესენი ცუდები არიან, ისინი — კარგებიო, სწორად არ მიმაჩნია. შესაძლოა, მათი მთავრობების ქცევები არ მოგვწონდეს, მაგრამ ჩვენ ხომ გავიარეთ ეპოქა, როცა ქართული კულტურა იატაკქვეშეთში იყო, თუმცა მისი გადარჩენა შევძელით. მთავარია, ქართული კულტურა, გენი, არსი გადარჩეს. ევროპელი, რუსი ხალხიც ასევეა. ისინიც თავისსავე სივრცეში დევნილები არიან. ჩვენც, ნაწილობრივ, დევნილები ვართ. აქაც უკუღმართი იდეალების აგიტაცია-პროპაგანდა მიდის. მაგალითად, ტელევიზიით პირდაპირ „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ არატრადიციული იდეალებით განმსჭვალულ საბავშვო გადაცემებს უჩვენებენ. ჩვენი ვალია, ქართული კულტურა იმ კატაკომბებისგან გადავარჩინოთ. ნუ გვგონია, თითქოს ამ ქვეყნად განცხრომისთვის დავიბადეთ.

**— ევროპელებად რომ შევდგეთ, ამისთვის 12-პუნქტიანი დავალების შესრულება რატომ გვჭირდება?**

— ჩვენ ევროპული ცივილიზაციის ნაწილი ვართ. არ მესმის, რას ნიშნავს, ევროპელებად უნდა შევდგეთ?! ეს იგივეა, ვიღაცამ რომ მითხრას: ქართველად რომ შედგე, 15 პუნქტი უნდა შეასრულოო. ქართველი ვარ და როგორღა უნდა შევდგე ქართველად?! ჩვენ ევროპული კულტურის ნაწილი ვართ, რას ჰქვია, უნდა შევდგეთ?! ევროპარლამენტარის ან ენჯეოს ვიღაც კრეტინი ხელმძღვანელისთვის არაფრის მტკიცება არ მჭირდება. ჩვენი მისწრაფება ყოველთვის ქრისტიანობა იყო, რაც ომებით, თავგანწირვით არაერთხელ დავამტკიცეთ. პუნქტები და რაღაც დათქმები, ჩემი აზრით, ქართველ ხალხს არ ეხება. ეს იმ „ელიტას“ ეხება, რომელიც ევროპიდან იკვებება, მასთან ვაჭრობს.



**— ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, რის მიხედვითაც სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ.**

— ძალიან პრიმიტიული, მარგინალური ტექსტია. ჯერ ერთი, ეს თავხედობაა — თუ სუვერენული სახელმწიფო ვართ, პატივი უნდა გვცენ. ასეთ რეზოლუციას რომ იღებ, ჯერ ხომ უნდა გაერკვე, რა უბედურება დაატრიალა ქვეყნის თავზე სააკაშვილმა. იგი ბოროტმოქმედი მსჯავრდებულია და სასჯელი ბოლომდე უნდა მოიხადოს. რას ნიშნავს, გავათავისუფლოთ? ეს ხომ ღირსების საკითხია. თუ ჩვენი მთავრობა ამ დათმობაზე წავა, ეს უღირსი საქციელი იქნება. არ შეიძლება ყოველგვარ ზეწოლაზე ლერწამივით აქეთ-იქით ვიხრებოდეთ.

**— ჯერ გაერკვნენო, — ამბობთ. ანუ, მათ არ იციან, ვინ არის სინამდვილეში სააკაშვილი?**

— დიდი შანსია, ბევრმა მათგანმა მართლაც არ იცოდეს მისი დანაშაულების შესახებ. რეზოლუციას ხომ 577-მა დეპუტატმა მოაწერა ხელი. არა მგონია, 577-ივე ამ ბოროტმოქმედის ცხოვრებაში ასე დეტალურად იყოს ჩახედული. მისი გათავისუფლების მოთხოვნა შეურაცხმყოფელია. ეს ჩვენი ქვეყნის აბუჩად აგდება და უპატივცემულობაა. მთავრობა სათანადოდ უნდა მოიქცეს და ამ ზეწოლას არ აჰყვეს — ხელისუფლებას ხომ ჩვენ ვირჩევთ და არა ევროპარლამენტი.

**— კობახიძემ ევროპარლამენტის გადაწყვეტილებაზე განაცხადა: ეს საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოსაც კი შეშურდებოდაო.**

— მეც სწორედ ასე მიმაჩნია. კობახიძე ბოლო პერიოდში ძალიან სწორ განცხადებებს აკეთებს. მთავარი ღირსების შენარჩუნებაა. არ შეიძლება, ასე მარტივად თავზე გადაგვიარონ. ეს მეტროპოლიის კოლონიისადმი დამოკიდებულებაა. ევროპული ქვეყნები თავის ხალხს ხომ ცივილიზებულს უწოდებენ. მაშინ მათ ასეთი უღირსი საქციელი არ ეკადრებათ. ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, რომლებზეც აშშ-ს სერიოზული გავლენა აქვს, ჩვენს დევნაში პირველი ვიოლინოები არიან. გვაიძულებენ: ისე მოვიქცეთ, როგორც მათ სურთ. აშკარაა აშშ-ის ინტერესი — მას სურს, ევროპა დააჩოქოს.

**— შალვა პაპუაშვილმა ევროპარლამენტის რეზოლუციას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუპირისპირა და აღნიშნა: მიხეილ სააკაშვილი გულაგების პრეზიდენტი იყოო.**

— დიახ, სტრასბურგმა სააკაშვილის რეჟიმის დროს წამებული ადამიანის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ადამიანმა თუნდაც მორალურად იგრძნოს, რომ სამართალი არსებობს. **ზოგადად, ვინც ამ რეჟიმს ქმნიდა და ძირს უმაგრებდა, ყველანი უნდა დაისაჯონ. ამას სტრასბურგი არ უნდა სჭირდებოდეს. ეს სამართალი აქ უნდა აღსრულდეს და არა სტრასბურგში.** ჩემთვის გაუგებარია, რატომ არიან ეს სადისტები, ბოროტმოქმედები დღემდე დაუსჯელნი?!

**— კუბილიუსმა, თუ ჩვენი წესებით არ ითამაშებთ, სტატუსს ვერ მიიღებთო.**

— პირადად მე, ასეთ ხალხს, ვინც საქართველოს პატივს არ სცემს, პერსონა ნონ გრატად გამოვაცხადებდი. საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას ავუკრძალავდი, როგორც კუბილიუსს, ისე ვიოლა ფონ „გრამაფონს“ და სხვებს. ჩვენთან ასე ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენც გვაქვს ღირსება და მონები არ ვართ.

**— ევროპარლამენტარებმა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებაც მოითხოვეს...**

— მათი მოთხოვნის არსი აშკარაა — რასაც აქ ბოროტმოქმედი ნაცები ლაპარაკობენ, ევროპარლამენტარებიც ქვევრიდან იგივეს ამოსძახებენ. ხომ გამოაშკარავდა, რომ ლობიზმში მილიონები იხარჯება. ტყუილი „ფორბსაც“ კი ანათებს. რეალურად ხომ ვხედავთ, საით მიდის ევროპა — ფულით ყველაფერს იყიდი. ივანიშვილი პოლიტიკიდან დიდი ხნის წასულია და არ მესმის, რას სთხოვენ?! გაიძახიან: ხელისუფლებაზე გავლენა აქვსო. მეც მაქვს გავლენა, როგორც მოქალაქეს, მთავრობაზეც და მათ შორის, ბიძინა ივანიშვილზეც. ყველას გვაქვს ერთმანეთზე გავლენა. აქედან გამომდინარე, ევროპარლამენტარების ეს მოთხოვნა აბსოლუტურად მარგინალურია. ეს საბჭოთა კავშირიდან გამოსული ხალხის ტექსტებია, რომლებიც რაიკომის მდივნის დონეზე აზროვნებენ.

**— რა დაგანახათ „ვივამედის“ პალატა-ლუქსში ბოლოს გავრცელებულმა კადრებმა?**

— ციხეში მყოფი ადამიანის კადრების გავრცელება ცუდი საყურებელია, საშინლად არ მსიამოვნებს, თითქოს ვიღაცას ჭუჭრუტანაში ვუყურებ. სააკაშვილის საცვლების ყურება ჩემთვის მიუღებელია. მცდელობაა, რომ თანაგრძნობა გამოიწვიონ, თუ როგორი გამხდარია და ნეკნებს გვაჩვენებენ. მიშა უღირსი კაცია. სჯობს, ციხეში გადაიყვანონ. მე თუ მკითხავთ, საკმაოდ ცოტა აქვს მისჯილი. იმის ღირსებაც კი არ აქვს, ციხეში დაბრუნდეს და სასჯელი მოიხადოს.

**— ცოტა მიუსაჯესო, — ამბობთ. რა არის მისი მთავარი**

6 გვ. →







# მორჩა კინო, ჭამე, მიშა, ჭაამეე!

## ხალხი, რომელმაც „გადმომტრიალებლები“ 2012 წელს პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა, არსად გამქრალა



*გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:*

**— ქალბატონო ნანა, წინა კვირას გავრცელდა კადრები, სადაც სააკაშვილი მშვენივრად გადაადგილდება. თუმცა, გიული ალასანია საპირისპიროს გვიმტკიცებს.**

— ეს უნიჭო სპექტაკლია, სადაც უნიჭო მსახიობები თამაშობენ. სააკაშვილის ციხიდან გამოხსნის მცდელობის ორთვიანი სპექტაკლის პირველი მოქმედება დასრულდა. მთავარი თუ ეპიზოდური როლების შემსრულებლებმა სამსახიობო ოსტატობა მაქსიმალურად გამოავლინეს. სისტემური წამების შემოქმედ სააკაშვილზე განგვიცხადეს: თავად არის წამებული, რომელსაც წამლავენ და კლავენო. წამებაში რა შედის, არ იკითხავთ? — მის ოროთახიან პალატა-ლუქსში დაკაკუნების გარეშე შედიან; მაჯის საათი, რომლის ტარება პატიმარს ეკრძალება, ხელიდან ძალით შეხსნეს; პენიტენციური დაწესებულებიდან ციხის საავადმყოფოში ისე გადაუყვანიათ, რომ მას ამისი სურვილი არ გამოუთქვამს და ა.შ. მერე დედამისის დაქირავებულმა ლობისტურმა კომპანიებმა და მისმა ჯიბის ექსპერტებმა გამოგვიცხადეს: მიშა მოწამლესო. სააკაშვილის გულშემატკივრები ვერ ხვდებიან, რომ მასაც და საკუთარ თავსაც კომიკურ მდგომარეობაში აყენებენ, როცა ერთი წელია, გაიძახიან: სასწრაფოდ გაათავისუფლეთ, თორემ დღეს თუ არა ხვალ მოკვდებაო. ასევე კომიკურია მისი ჭკუასუსტობის ამბავიც. ადვოკატებს სათქმელი რომ აღარაფერი დარჩათ, პენიტენციურ დეპარტამენტს შეედავნენ: თქვე მონსტრებო, ბოლო სამ წელიწადში 51 პატიმარი გარდაგეცვალათო. ეს მაშინ, როცა სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს წელიწადში 140-ზე მეტი პატიმარი იღუპებოდა! ეს ორთვიანი სპექტაკლი ნაცების საერთაშორისო ლობისტების აკომპანემენტის ქვეშ მიმდინარეობდა.

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დამკვიდრდა პიროვნების — მიშას კულტი. ეს „ჩვენი“ კულტი ხან ქართველია, ხან უკრაინელი, ხან დემენცია აქვს, ხან —არა, ხან მოწამლულია, ხან — არა, ხან კვდება, ხან — არა და ა.შ. ასეა თუ ისე, ამ ეტაპზე სპექტაკლის პირველი მოქმედება დასრულდა. მეორე მოქმედებაში საინტერესო მომენტად რჩება ის, თუ როდის დარწმუნდება სააკაშვილი დამსახურებული სასჯელის მოხდის გარდუვალობაში და როდის გააცნობიერებს, რომ სიმულაცია ვერ დაიხსნის. მას მინდა ვუთხრა: მორჩა კინო, ჭამე, მიშა, ჭამეე!

ჩემთვის, იცით, რა არის გაუგებარი? — **რატომ წევს დღეს სააკაშვილი საავადმყოფოში მაშინ, როცა თავად ხელისუფლება აცხადებს, რომ იგი ავად არ არის და სიმულანტობს. გეკითხებით, რა უნდა სიმულანტს საავადმყოფოში** და რატომ იხარჯება მასზე ესოდენ დიდი თანხები?! გადაიყვანონ, ბატონო, იქ, სადაც მისი ადგილია. დარწმუნებული ვარ, მიშა ციხეში უკეთესად იქნება — იქ, სხვა პატიმრებივით, მასაც ნორმალური კვება ექნება. შედეგად, დედაგიული ველარ მოახერხებს, რომ საკუთარ შვილს, ყოველდღიურად, 200-200 გრამი დააკლებინოს, რათა ფონი შექმნას იმისთვის, რომ მიშამ სასჯელს თავი დააღწიოს.

**— თქვენ მიშას ციხეში გადაყვანაზე საუბრობთ, ამ დროს კი აქეთ ხაბეიშვილი და იქით ევროპარლამენტარები მის გასათავისუფლებლად ძალ-ღონეს არ იშურებენ...**

— საქართველოს მიმართ რაც ხდება, ზღვარგადასული თავხედობაა. კუბილიუსები, ფოტიგები თუ ათასი ჯურის სხვა თავხედი ადამიანები, საკუთარი ქმედებების გამო ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელნი არიან. შესაბამისად, მიუღებელია ის სტრუქტურებიც, სადაც ისინი მოღვაწეობენ. ვფიქრობ, საქართველომ თავის არჩევანს, მიმართულებას უნდა გადახედოს. **მსოფლიოში მუდმივი მტრები და მეგობრები არ არსებობენ, არამედ არსებობს ინტერესები.** რამდენად არის საქართველოს ინტერესებში ისეთ სტრუქტურებში გაწევრიანება, რომლებიც ჩვენს ღირებულებებს, ფასეულობებს, აბსოლუტურად აცდენილია, ეს ცალკე საკითხია. მიშას ლობისტი ევროპარლამენტარები ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში უხეშად ერევიან, რისი უფლებაც არ გააჩნიათ. ისინი თავიანთი რეზოლუციებით შეურაცხყოფას აყენებენ საქართველოს მოქალაქეებს და ქვეყანას. კორუფცია მარტო ის კი არ არის, რომ ვიღაცას 600 ათასი დოლარი სახლში აღმოუჩინო, არამედ კორუფციაა ისიც, როცა შენს მდგომარეობას მერკანტილური მიზნებისთვის იყენებ. განა ევროპარლამენტს იმისთვის აქვს თანხა გამოყოფილი, რომ სხვა ქვეყანას თითი უქნიოს და უთხრას: ჩემი მითითებებით უნდა იმოქმედო, სხვა უფლება არ გაქვსო. ნებისმიერ რეზოლუციას, წესით, სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და არა სავალდებულო. ვინ არის კუბილიუსი და სხვანი, რომლებიც ასეთ თავხედურ რეზოლუციებს იღებენ, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება იმ სულისკვეთებას, რისთვისაც ევროპარლამენტი შეიქმნა.

**— როგორ ბედავენ ქართულ მართლმსაჯულებაში ჩარევას და კარნახს, თუ როგორ გაგვათავისუფლოთ კრიმინალები! რამდენი ხანია, ქართველ ერს ამ უმსგავსობას გვაყურებინებენ — პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ხელით კრიმინალებს ციხიდან გვაშვებინებენ!** ამას დუმილით არ უნდა შევხვედროდით. პირველივე პრეცედენტის დაშვება უკვე შეცდომა იყო. დასავლეთმაც ჩათვალა, რომ საქართველოსთვის ეს ნორმაა. სხვა რომელ ქვეყანას ეუბნებიან: შენი პატიმარი პრეზიდენტი გაათავისუფლეო?!

**— ნაცების თავმჯდომარემ განაცხადა: ამ რეზოლუციით ევროპამ მოგვიწოდა, სიკვდილით დასჯა და სადიზმი გავაუქმოთო. ანუ, მიშას სიკვდილით ვსჯით?**

— მიშას სიკვდილით დასჯისა რა მოგახსენოთ, ეს უკვე სასაცილოც აღარ არის, მაგრამ თავად ნამდვილად ღირსებას ულახავს და აწამებს „ვივამედის“ თანამშრომლებს. ამაზე დროული რეაგირებაა საჭირო. .



**— ახლა რომ შფოთავს ევროპა, მიშას გვიკლავენო, მაშინ სად იყვნენ, როცა სააკაშვილის რეჟიმი უდანაშაულო ახალგაზრდებს ქუჩაში ხოცავდა?**

— დიახ, ევროპის ხმა მაშინ ძალიან სუსტად გაისმოდა. მათ აღნიშნულ ფაქტებზე არანაირი რეაგირება არ ჰქონიათ, პირიქით, „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდნენ. ამიტომ, როცა ევროკავშირში გაწევრიანებას ვითხოვთ, დიდი დაფიქრება გვმართებს: სად მივდივართ, არის თუ არა ევროკავშირი ის, რაც ჩვენ გვჭირდება. ხელისუფლებამ უნდა აუხსნას საზოგადოებას, ევროკავშირში გაწევრიანებას რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვება.

**— ევროპარლამენტმა ივანიშვილის მიმართ სანქციების დაწესებაც მოითხოვა და განაცხადა: ბიძინა მიშას მიმართ ვენდეტას ახორციელებსო.**

— მათ რეზოლუციებს რეალობასთან საერთო არაფერი აქვთ. გასარკვევი რჩება: ეს მიზანმიმართული ნაძირალობაა თუ შეცდომა. თუ ევროპარლამენტი პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, აქ ივანიშვილის რეპრესიებს ითხოვს და შეურაცხყოფას აყენებს საზოგადოებისთვის წარჩინებულ ადამიანს, რომელმაც ქვეყანას უანგაროდ არაერთი სიკეთე გაუკეთა და ამ დროს კრიმინალის გათავისუფლებას ითხოვს, ეს ორმაგი სტანდარტია. ივანიშვილის მსგავსი ქველმოქმედის ანალოგი არ არსებობს.

სააკაშვილი აქ მეორე ფრონტის გასახსნელად და ქვეყნის დასაქცევად შემოგვიგზავნეს. ივანიშვილმა კი ეს არ დაუშვა. ვინც ამის გამო ივანიშვილს პრეტენზიას უცხადებს, ის ქართულ პოლიტიკას უნდა ჩამოშორდეს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ივანიშვილს სამშობლოსთვის ომის აცილების გამო სჯიან. მიშა არ იკმარეს და ახლა გვარამიაც პოლიტპატიმრად გამოგვიცხადეს. იცით, რისი მეშინია? — იმ პოლიტიკის გამო, რასაც დღეს დასავლეთი საქართველოს მიმართ ახორციელებს, რუსეთი სანატრელი არ გაგვიხადონ.

**— მერაბიშვილი მეორე რევოლუციისთვის ემზადება...**

— საქართველოში დღეს ეს პრობლემა არ დგას. მიშას ფაქტორმა ვერ შეძლო ხალხის ქუჩაში გამოიყვანა და არა მგონია, ამ საფრთხის შექმნა ხაბეიშვილმა შეძლოს. მე სხვა რამეზე მინდა ყურადღების გამახვილება: **გაუჩნდა, რომ აქციაში მონაწილეობას უკრაინელები მიიღებენ. მათ იმიტომ ვაჭმევთ და შევიფარეთ, რომ სახელმწიფო გადატრიალებაში მიიღონ მონაწილეობა?!** რა უფლება აქვს უკრაინის მოქალაქეს, აქციებში მიიღოს მონაწილეობა და თავისი პოლიტიკური დღის წესრიგი დაგვიყენოს. ეს რა ხდება? აი, სად ვხედავ საფრთხეს, თორემ ქართველმა ხალხმა დიდი ხანია, ნაცები პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა. მაგრამ თუ ისინი აქ შემოგზავნილ აგენტურას თავიანთი მიზნებისთვის გამოიყენებენ, ამას სათანადო რეაქცია უნდა მოჰყვეს და თითოეული ასეთი მოქალაქე ქვეყნიდან გავაძევოთ. თუ უკრაინელები აქ ლტოლვილებად არიან, მაშინ მთავრობის მიერ გაწეულ შესაბამის დახმარებას დასჯერდნენ, მაგრამ თუ აქ არეულობის მოსაწყობად და მეორე ფრონტის გასახსნელად ჩამოვიდნენ საკადრისი უნდა მივუზღოთ.

მოდით, ყველაფერს თავის სახელი დავარქვათ. უკრაინელებს მეგობრებს ვეძახით, მაგრამ იმაზე დიდი მტრობა, რასაც ისინი აკეთებენ, საქართველოს წინააღმდეგ არავის ჩაუდენია, რუსეთის ჩათვლით. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ჩვენს სუვერენიტეტს ხელყოფენ. მეგობრობა კი არა, ეს დაუძინებელი მტრობაა. პასუხიც სათანადო უნდა გავცეთ, ლოიალობა და თავზე ხელის გადასმა საჭირო არაა. მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ისე გველაპარაკონ, როგორც შეგვეფერება.

**— „ხალხის ძალამ“ პარლამენტს უცხოელი აგენტების გამოვლენის შესახებ განსახილველად კანონპროექტი წარუდგინა. რა სარგებელს მოუტანს ქვეყანას ამ კანონის ამოქმედება?**

— თავისთავად, სახელმწიფო საქმის კურსში უნდა იყოს, რაში იხარჯება ამა თუ იმ ენჯეოებისთვის უცხოეთიდან გადმორიცხული თანხები. ასევე, გამჭირვალე, საჯარო უნდა იყოს ინფორმაცია, რა საქმიანობას ხმარდება აღნიშნული ფინანსები. ვერ ვხვდები, რა პრობლემაა. მეც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება საერთაშორისო გრანტებზე ვმუშაობდი. წესიერად, პატიოსნად თუ მუშაობ და თანხას ქვეყნის სასარგებლოდ და არა საზიანოდ ხარჯავ, წესით, ამ კანონპროექტმა არავითარი დისკომფორტი არ უნდა შეგიქმნას. თუ მსგავსი კანონი დემოკრატიულ ამერიკაში მუშაობს და ის არასამთავრობო ორგანიზაციებს არავითარ პრობლემას არ უქმნის, საქართველო რატომ უნდა გახდეს გამონაკლისი. ეს აჟიოტაჟი გაუგებარია. ანუ ის, რაც დემოკ-

6 გვ. →





# სამართალი აქ უნდა აღსრულდეს და არა სტრასბურგში

← 4 გვ.

**დანაშაული, რის გამოც პასუხი უნდა აგოს?**

— ჯერ ერთი, **ციხეში რომ არ ზის, ეს უკვე დანაშაულია. მიშა ყველა პატიმრის მსგავსად ციხეში უნდა იჯდეს.** ერთი წელია, საავადმყოფოში კოტრიალობს. მასზე უფრო დიდი დამნაშავე, ბოროტმოქმედი ჩვენს მართლმსაჯულებას არ ჰყავს. მას თუ გამოუშვებენ, ბარემ, გახსნან ციხის კარი და ყველა პატიმარი გაათავისუფლონ.

**— ადრე მიშას შინმოუსვლელი უწოდეთ, ახლა.**

— არაჟნებით რომ ჩამოვიდა, მაშინ არაჟანა დარქვი შევარქვი. მთავარია, ისტერიკას თავი დაანებოს და სასჯელი მოიხადოს, რაც, ვიმეორებ, მის დანაშაულებთან ზღვაში წვეთია. რაც მან ჩაიდინა, „კასტილებიანი კაცის“ სისასტიკესთან ახლოსაც ვერ მივა.

**— „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე რას ფიქრობთ?**

— ამ კანონპროექტის არსი ვერ გავიგე — ის არც სანქციებს ითვალისწინებს, არც ამ ენჯეოების თუ მედიის მოქმედებებს ზღუდავს, უბრალოდ, დააფიქსირებენ, რომ აგენტები არიან. ეს ხომ ისედაც ვიცით — ისინი ოფიციალურად იღებენ დაფინანსებას, როგორც აგენტები, რომლებიც მოსახლეობაზე გავლენას ახდენენ. მათი აღრიცხვა რას გვაძლევს? — ისედაც აღრიცხულნი არ არიან? კანონში უნდა ჩაიწეროს, რომ გარედან დაფინანსება, ჩვენს პოლიტიკაში ჩარევა საერთოდ აიკრძალოს. აგენტები არიან? — კი, ბატონო. მერე რა ხდება?! რატომ ვიღებთ ამ კანონს? — მათი დაფინანსება გამჭირვალე იქნებაო. ისედაც აბსოლუტურად გამჭირვალედ მისდით ეს ფული, უბრალოდ, ქვეყნის საზიანოდ იყენებენ. **რა გამოდის, მათ არ ვუკრძალავთ, რომ ეს ფული ქვეყნის წინააღმდეგ მოიხმარონ და, უბრალოდ, აღვრიცხავთ რამდენი ფული დახარჯეს ჩვენს დასაქცევად?!** ეს ნახევარზომებია. ამ მიმართულებით მეტი უნდა გაკეთდეს.

**— კელი დეგნანს ვადა ეწურება.**

— დასანანია, ძალიან ვერთობოდი. არა უშავს, ელჩების ახალი პარტია შემოვა, არ გვჭირდება, მაგრამ მაინც მოაქვთ. გარეთ რომ დავტოვოთ, მზის სხივები მოხვდებათ და სილურჯეს დაკარგავენ, ამიტომ შიგნით შემოგვაქვს. ბარემ ძველი ელჩიც დაგვიტოვონ — „წიოწია“ კელი. ის ხომ უკვე შეეგუა კოლექტივს, ახალიც იყოს, ფრეშ-პროდუქტია. ორი სათაურით ელჩი ხომ არავის ჰყავს და გავაკვირვებთ ევროპას!

**— ნაცების ახალი თავმჯდომარე როგორ მოგწონთ?**

— ძალიან, რადგან „ნაცმოძრაობა“ რაც უფრო კომიკური და მარგინალური იქნება, მით უფრო მომეწონება. ერთი მომენტი კი არის: „ნაცმოძრაობის“ განადგურებასთან ერთად, სერიოზული დეფიციტი ექმნებათ იმ დრაკონისა, რომლითაც უნდა შეგვაშინონ. აქედან გამომდინარე, ახალი დრაკონები იქნება შესაქმნელი. იმედი მაქვს, მე, როგორც თეატრის მხატვარს, სამუშაო გამიჩნდება — კოსტუმებს შევუკერავ, დრაკონის კბილებს დავუხატავ, მეტი რა ვქნა?! ასე რომ, შეიძლება, სერიოზულ შეკვეთს გამოვკრა ხელი, რათა ხაბეიშვილს კიჭები ან კუდი გავუკეთო, რათა კარგად შეგვაშინოს.

**— ფაიფურის კიჭებზე კეზერაშვილმა იზრუნა, თქვენ დრაკონისა გაუკეთეთ...**

— კი, ბატონო, დრაკონისას მე გავუკეთებ, თან პირიდან ბოლსაც გამოვაშვებინებ. სპეცეფექტები აკლია ამ ბიჭს.

**— მოკლედ, ცალკე საქართველოს რეგიონებში გაშალა მიშას გასათავისუფლებლად ხაბეიშვილმა ფრონტი და ცალკე ევროპარლამენტარებმა რეზოლუციები დაგვიშინეს...**

— **ბუტაფორიული დრაკონები რევოლუციას ვერ მოაწყობენ, მაგრამ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებები საკმაოდ მაფიქრებს.** ამერიკა გახლავთ ქვეყანა, რომელსაც დაზვერვა ჰყავს, ასევე, დიდი გავლენა და გრძელი ხელები აქვს. აი, მას კი ნამდვილად შეუძლია საქართველოში გადატრიალება მოახდინოს ისე, როგორც ეს სხვა ქვეყნებში გააკეთა. რა თქმა უნდა, ბუტაფორიული დრაკონი ამას ვერ შეძლებს, მაგრამ ამ მიმართულებით აშშ-ის განცხადებები ძალიან საყურადღებოა. აშშ რომ ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში და სხვა კონტინენტებზე გადატრიალებებს, რევოლუციებს აწყობს, ეს ცნობილი ფაქტია.

ასე რომ, მოდით, ჩვენს გემს მივხედოთ. პრემიერ-მინისტრის პოზიციები ხშირად ძალიან მომწონს. მინდა, მისი მსგავსი ხალხი ბევრად მეტი იყოს ხელისუფლებაში, უფრო მეტად თამამად ვიმოქმედოთ. ბრძოლაში შეიძლება დამარცხდე, მაგრამ ღირსეულად. ამას ხალხი აუცილებლად დაგიფასებს და გვერდში დაგიდგება. მაგრამ ხალხს თუ იმ უკუღმართობებს მოახვევ თავს, რასაც ჩვენი დაუძინებელი მეგობრები გვაძალებენ, იგი ზურგს შეგაქცევს და მარტო დარჩები. ჩვენი მთავრობები დასავლეთს აქამდე უარს არაფერზე ეუბნებოდნენ. ახლა გაუძალიანდნენ, მას შემდეგ, რაც პრემიერად ღარიბაშვილი მოვიდა, რასაც მივესალმები. აქამდე კი დასავლეთს ყველაფერს ვუსრულებდით: ანტიდისკრიმინაციული კანონიც მივიღეთ, კონსტიტუციის პრეამბულაშიც ჩავწერეთ სრულიად მარგინალური ტექსტი ევროკავშირისა და ნატოსკენ სწრაფვაზე, საკადრო პოლიტიკაც სექსუალურად და მენტალურად უკუღმართი ორიენტაციის არსებების სელექციით წარვმართეთ, მაგრამ მაინც არ დაგვიფასდა. მაინც არ უნდა ეს ხელისუფლება ბუმბერაზ ვაშინგტონის ობკომსა და ბრიუსელის ცეკას. მაინც ემუქრებიან გადატრიალებით, სანქციებით და სხვა ეგვიპტური სასჯელებით, ნაცმუმლისა, ბუზანკალისა და კალიების შემოსევით. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ხელისუფლებას ვურჩევ ქართველ ხალხს დაეყრდნოს. მათი ზურგი ხალხი იქნება და ერთად ყველაფერი გამოგვივა. ხელისუფლებამ ლეგიტიმაცია ხალხისგან უნდა მიიღოს და არა ევროპარლამენტისგან.

**— წეღან აღნიშნეთ, ბუტაფორიული დრაკონის მუქარის არ მეშინიაო და არც ლიაკას, გირჩის და ჭიჭეს ეროვნული მოძრაობის დაწყების გეშინიათ?**

— არცერთის არ მეშინია, ომამდე ტანკისტი ვიყავი. სააკაშვილის რეჟიმის არ შემშინებია და ბუტაფორიული დრაკონები რას დამაკლებენ. რაც შეეხება, ამ „ტროიკას“, ხოშტარია რომ ეროვნულ მოძრაობას უთავკაცებს, სასაცილოა, აბა, რა არის. ეროვნულ მოძრაობას იწყებენ იმისთვის, რომ ბოროტმოქმედი სადისტი ციხიდან გამოუშვან?! ასეთი რამ სად გაგონილა?!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მორჩა კინო, ჭამე, მიშა, ჭაამეე!



← 5 გვ.

რატიულ ქვეყნებში აპრობირებულია, არ მგონია, საქართველოში პრობლემად იქცეს. ჩვენთან არაერთი კანონი მოქმედებს, რომელიც რუსულის აბსოლუტურად იდენტურია. როგორ უნდა შეიმუშაო ისეთი კანონი, რომელიც რუსეთში არ მუშაობს. მაშინ ყველა მათგანი, რაც რუსეთშიც მუშაობს, მოხმარებიდან ამოვიღოთ. ასე ხომ სისხლის სამართლის კოდექსის გარეშე დავრჩებით. განა ამერიკაში არ აქვთ ისეთი კანონები, რომლებიც მათთანაც მუშაობს და რუსეთშიც?! თუ რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია თანხებს არამიზნობრივად ხარჯავს, ეს სახელმწიფოს მიერ უნდა გაკონტროლდეს. მუდმივად გვესმის მუქარები: რევოლუციებზე, გადატრიალებებზე. საერთაშორისოდ მიღებული ნორმაა, რომ არცერთ სახელმწიფოს სხვა ქვეყნის პოლიტიკაში ჩარევის უფლება არ აქვს. აქედან გამომდინარე, არც პოლიტიკური პროცესების დაფინანსების უფლება აქვს. თუმცა, ფაქტი სახეზეა — ჩვენთან ეს ხდება. ჩვენი კანონმდებლობით, გარედან ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დაფინანსება აკრძალულია. როცა ეჭვი არსებობს, რომ მსგავსი რამ არასამთავრობოების ხელშეწყობით ხდება, ეს უნდა გაკონტროლდეს, რათა კანონი აღსრულდეს.

**— ცნობილი „ტროიკა“ 24 თებერვალს ეროვნული მოძრაობის დაწყებას გეგმავს...**

— ეს ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციის მცდელობაა. ჯერ ერთი, ამით ეროვნულ მოძრაობას ბღალავენ, შეურაცხყოფას აყენებენ ყველაზე არაეროვნული, ხორცმეტი ადამიანები. თუ კანონს დაარღვევენ, სახელმწიფოს ამჯერად ადეკვატური რეაქცია უნდა ჰქონდეს. ადრე ხოშტარიას ხულიგნობა დაუსჯელი დარჩა, როცა მან პარლამენტის შენობას საღებავები შეასხა. მსგავს ქმედებებზე ნებისმიერ ხულიგანს პასუხი უნდა მოეთხოვოს. კანონი უნდა ამუშავდეს.

ოპოზიციური „ტროიკა“ 24 თებერვალს ეროვნული მოძრაობის კი არა, რევოლუციის დაწყებას აანონსებს. ახლადგამომცხვარმა „პოლიტვარსკვლავმა“ აკია ბარბაქაძემ განაცხადა: არავინ დაიჯეროს, რომ საქართველოში არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელიაო. მოკლედ, 24 თებერვალს უნდა გაისროლოს „ავრორამ“! მანამდე რევოლუციურ იდეოლოგიას მომზადება ხომ უნდა?! ჰოდა, სააკაშვილის თვითდაზიანებას წამებად ასაღებენ და ა.შ. საქმე ისაა, რომ „ენ-დი-აის“ კვლევებითაც კი, „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველთა 25% უჭერს მხარს, ნაცებს – 6%, ხოლო დანარჩენ პარტიებს, ერთად აღებულს, სულ 13%. რადგან ოპოზიციას არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის პერსპექტივა ამოეწურა, რა რჩება ერთადერთ გზად? — სახელმწიფო გადატრიალება, ხომ. ბოლო დროს კიდეც გვესმის ოპოზიციის მოწოდებები: დავამხოთ! გადავატრიალოთ! კინწისკვრით გავყაროთ! გადამტრიალებლებს ყველაზე მეტად დასავლეთის მხარდაჭერის იმედი აქვთ. მას (დასავლეთს) ეუბნებიან: დაგვამხობინეთ ეს ხელისუფლება და ჩვენზე უკეთეს მონა-მორჩილებს ვერსად იპოვითო. **„გადმომტრიალებლებს“ ერთი რამ ავიწყდებათ: დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების მოპოვებაში გადამწყვეტ სიტყვას ყოველთვის მისი უდიდებულესობა ხალხი ამბობს.** ეს ხალხი, რომელმაც 2012 წელს ნაცები პოლიტიკურ სანაგვეზე მოისროლა, არსად გამქრალა. ჩვენ ისევ აქ ვართ! გადატრიალების თუ გადმოტრიალების მსურველებს შევარდნაძის სიტყვებს შევახსენებ: გადატრიალდით საკუთარ ლოგინებში!



**თამარ შველიძე**
555 23 28 24




# ЦРУ სნეული

ლЯკა რუბლიოვამ, გიორგი რუბლიოვმა, იგივე, ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილმა მაზუთიანმა ფრინველმა და სოფელ ატოციდან რუს ოკუპანტებთან მოშიშვლებული საჯდომით მებრძოლმა ლოყებშეწითლებულმა გოჭმა გატრუსული წამწამებით, ზურაბ ჯაფარიძემ („ნათლია“ რეზო ამაშუკელი) ერთი თვის წინათ გვამცნეს, 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრის წლისთავზე, აქცია უნდა გავმართოთ, „რათა უკრაინელ ხალხს ვუთხრათ, როგორ მედგრადაც ჩვენი ბიჭები იბრძვიან ყოველდღიურად თქვენთან ერთად, ასე მედგრად დგას ამაყი და მამაცი ქართველი ერი თქვენს გვერდითო.“ რა თქმა უნდა, ამ დროს იქ უნდა ყოფილიყო „გმირი“ ვაჟა ექიმი, გაურკვევლობის ყურმოჭრილი მონა — ყუბანეიშვილი, „ღვაწლმოსილი“ ივერი მელაშვილი, სანდრა რულოვსის ნაძმაკაცარი მაჩალიკაშვილი და სხვანი, ამაოდ გარჯილი ნიშადაკარგული სახეები.

ალბათ, 24 თებერვალს უფრო მეტნი იქნებიან უკრაინის ბედით გულდათუთქულები, აგე, გედევან ფოფხაძე რა მოწოდებებს ისვრის ჯიბიდან. რა დაემართა ამ ბიჭს? პრინციპში, იგივე, რაც ნიკა გვარამიას, რეალური „ვაი ჭკუისაგან“. ამათ თუ სხვა წიგნის წამკითხველებს დავუმატებთ, კი მივიღებთ საშინელ ლეგიონს. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ბევრი წიგნის წაკითხვა ავტომატურად არ ნიშნავს, რომ განათლებული ხარ — რა ვიცი, ამათი შემხედვარე, ჩაბნელებულს უნდა ნიშნავდეს...

ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ უკრაინელებზე მეტად უკრაინელი ქართველები ილვწიან, რათა ხელისუფლებას 24 თებერვალს გაუჩნდეს გრძნობა, რომ წერტილი დაესვა. ბასტა!

ასე მოუხდებათ პუტინისტებს, პუტინის საქმის მსახურებს, რომლებიც საქართველოს არ სჭირდებიან. სრული ფრუსტრაცია უნდა დაემართოს „ქართულ ოცნებას“ და არა ქართველ ხალხს, რადგან ხელისუფლებამ, რომელმაც გასული წლის 24 თებერვალს ისტორიულად არასწორი არჩევანი გააკეთა და ისტორიის ბნელ მხარეს დადგა, პასუხი უნდა აგოს, განაჩენს გამოვუტანთ ამ დღესო, — გვითხრა გედიმ.

შენ გაიხარე, გედი, გულიანო ბიჭო! შიშით ვთრთოდი ყარალაშვილის მუქარაზე, ღორებივით გამოგჭრით ყელსო და გუბაზის მრისხანებაზე, იმაზე უარესად მოგექცევით, ვიდრე რუს ოკუპანტებს, იმიტომ, რომ კოლაბორაციონისტები ხართო. უკრაინაში რომ იბრძვიან ჩვენი ბიჭები, 5000-მდე მებრძოლი, ისინიც წამოგვეშველებიან და ძალა ვიქნებითო.

ისე შემეშინდა, ფორთხვითღა ვეძებდი უკრაინელებს, რომ ყმად დავდგომოდი და სოხუმიდან რომ შემოვიდოდნენ კრემლის გავლით (აბა, სხვანაირად როგორ შემოვიდოდნენ, ვინ გამოატარებდათ?) „სლავა უკრაინე“ ყველაზე ხმამაღლა და გამოთქმით მეყვირა, ხოლო მუშტი მუშტზე მაგრად შემეკრა.

ვიფორთხიალე უკრაინაში მყოფი უკრაინელების საძებრად და ახლა წურბელები მაზიან კისერზე წყვილ-წყვილად, ფეხები კი აქუს ნათხოვარ ტაშტში მიწყვია მდუღარეში, წნევამ ამიწია. აქუსავე კატა კი მეგლასუნება, ცდილობს დამეხმაროს წნევის დაგდებაში, მაგრამ არ მშველის — ეს რა დაინახა ჩემმა ყურებმა და გაიგონა ჩემმა თვალებმა, თავი რაღად მინდა ცოცხალი! მე მოხუცი ვარ და სნეული, თქვენ კი საკუთარი ნებით უნდა დასაჭურისდეთ, ასეთია უკრაინელების შთაბეჭდილება ქართველ მამაკაცებზე და მოძმე ერს (თუ ხალხს), თან ომში მყოფს, იმედები ხომ არ უნდა გავუცრუოთ?

ქართველი პიდარასტი ნაციაა, ხუთ დღეში ჩააბარეს თავიანთი ქვეყანა პუტინსო, — რას ერჩი, მართალიია ეს უკრაინელი, რასაც ხედავს, იმას ამბობს, ხუთ დღეში ჩააბარა 150 სოფელი პიდარასტი ქართველების ნაკრებმა და არ თქვას? ახლა უკრაინაში ხედავენ მოსელფავე ქართველ ე.წ. მებრძოლ „მარიაჟებს“, აქ რომ ვაჟა ექიმივით გმირებად აცხადებენ და არ თქვას?

დაღუპული ქართველები ღმერთმა გაანათლოს, მაგრამ ხუთ გარდაცვლილ ქართველს მასხრად რომ იგდებენ და სხვების ვირთხობის გამო ისინიც მოსელფავე ტიკტოკერებად გამოაცხადეს და ამ მიმოწერებში პწკარებს შორის ქართველი ერის სიძულვილი იკითხება „მოძმე“ უკრაინელებისგან, როდის დაინახავენ ბრიყვები, როდის მოიხსნიან ვარდისფერ და თან მრუდელინზებიან სათვალეს?!

გამოკითხვაში ჩამონათვალი როგორ მოგწონთ, ქართველი რომ პიდარასტობასთან ასოცირდება?

„ჩემი პასუხი ყველა ქართველს: არავის დაუძახია თქვენთვის. წადით, სანამ ცოცხლები ხართ. ჩვენ თქვენი ჰომოსექსუალური დახმარება არ გვჭირდება!“ — როგორია?

ვაიმე, რუსების ფეიკიაო...

კაი, კაცო, მანჯურიელების ფეიკი ხომ არ არის?

ჰო, იმდენი ქართველი იბრძვის უკრაინაში, რომ თავსატეხი გაუჩინეს რუსეთს და ახლა ასე აპირისპირებს „მოძმე“ ერებს: ურთიერთშესაძულებელი ფეიკები რად უნდა რუსეთს, ცუდმა „ლომკამ“ თუ მოუსწრო, პირადად ზელენსკი გვლანძღავს და ცუდი პაზმელია თუ დაესწრო — ცანცარა პოდოლიაკი.

აქ რომ წვერცამეტა უკრაინელები აქციებს გვიწყობენ, ისინიც რუსეთის ფეიკები არიან?!

24 თებერვალს რომ რუბლიოვების დაძახილზე გულითადად შეფარებულმა უმადურმა უკრაინელებმა უნდა შემოგვიტიონ ჩვენსავე დედაქალაქში, ესეც რუსეთის ფეიკებია?!

პოდოლიაკის ნათქვამი ხომ მაინც არ იქნება ფეიკი: „თითქმის ერთი წელი ომია და თითქმის 1500 გლობალური კომპანიის მხოლოდ 9%-მა დატოვა რუსული ბაზარი!“ მისი თქმით, რუსეთში დარჩენილი უცხოური კომპანიების უმრავლესობა გერმანიიდან (19,5%), აშშ-იდან (12,4%) და იაპონიიდან (7%) არის. სხვა კომპანიებს შორის არის **METRO, Leroy Merlin, Auchan, Nestle, Unilever, Procter & Gamble, Siemens, Pfizer, Philip Morris, Bayer, Acer, Alibaba, CloudFlare, Societe Generale, Credit Suisse, Lenovo, Asus, Cersanit**. რა ხდება, აქეთ, პოდოლიაკ, ცნობილი ბრენდების აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის ბიუჯეტის დაფინანსებას აგრძელებს, ანუ ომს უფინანსებენ რუსეთს? დაუთვლია პოდოლიაკს და 290 მლრდ აშშ დოლარი გამოუვიდა ამ ბრენდების მიერ რუსეთის ბიუჯეტში გადახდილი თანხის ოდენობა.

აქეთ, რუსეთის ვითომ დამსანქცირებლები, სანქციებს გვერდს უვლიან და სხვებს ამუნათებენ?

კი, ნამდვილად ისიც რუსეთის ფეიკი იქნება, ნიკოლაი მალომუჟი რომ ამბობს, სააკაშვილი და პოროშენკო განიხილებოდნენ, როგორც დაზვერვის მომავალი თანამშრომლებიო,

მალომუჟი უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილი თავმჯდომარეა, არმიის გენერალი და სტუმრად იყო მიწვეული თოქ-შოუში „სტუმრად დმიტრი გორდონთან“. ეს უკრაინელი გენერალიც რუსეთის ფეიკია, კაცო?

„დაზვერვისთვის და კონტრდაზვერვისთვის კანდიდატებს ჩვენ ვარჩევდით წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან. კიევის შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტი იყო ძირითადი ბაზა, რადგან იქ იყო საერთაშორისო ურთიერთობებისა და სხვა ფაკულტეტები. დაზვერვის მომავალი თანამშრომლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო უცხო ენების ცოდნა. ეს კონტინგენტი სააკაშვილისა და პოროშენკოს ჩათვლით და კიდევ ბევრი სხვა, განიხილებოდნენ, როგორც დაზვერვის მომავალი შესაძლო თანამშრომლები.

საბჭოთა, შემდეგ უკრაინელი სტუდენტების (ისინი ცოტანი იყვნენ, უცხოელები სჭარბობდნენ) შესწავლა ხდებოდა არა იმდენად აგენტურის, არამედ დაზვერვის ან კონტრდაზვერვის ფორმატში სამუშაოდ. უფრო დაზვერვის, რადგან ამ შემთხვევაში კარგი განათლება და მინიმუმ ორი ენის ცოდნა იყო საჭირო. შემდეგ სამწლიანი აკადემია და აგენტი უკვე მზად არის საზღვარგარეთ პირველადი დავალების შესასრულებლად. ამიტომ, ყველას შესწავლა ხდებოდა, თუმცა, ყველა ვერ წავიდა შორს. ნაწილი ვერ გახდა დაზვერვის თანამშრომელი, მაგრამ გავიდნენ სხვადასხვა თანამდებობებზე, პრეზიდენტის თანამდებობის ჩათვლით“, — განაცხადა მალომუჟმა.

შეკითხვაზე, პოროშენკოსა და სააკაშვილთან „კგბ“ მუშაობდა? მალომუჟმა უპასუხა, რომ თავდაპირველად მუშაობდნენ უკრაინის სპეცსამსახურები, რომლებიც „კგბ“-ს შემადგენლობაში შედიოდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი უკრაინის უშიშროების სამსახური გახდა (СБУ).

„ისინი სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში. სააკაშვილმა რეკომენდაცია მიიღო საქართველოზე და წავიდა, იმიტომ, რომ სსრკ დაიშალა. საქართველოში ომი იყო, გამსახურდიამ ამბოხება მოაწყო, სააკაშვილს ვისთვის უნდა ეჩვენებინა რეკომენდაცია? უკრაინული მხრიდან ყველამ მიიღო რეკომენდაციები იმ ვარაუდით, რომ იქ დახვდებოდნენ კოლეგები, მაგრამ არავინ იყო, ვინც მათ მიიღებდა, ამიტომ ის (სააკაშვილი) წავიდა პოლიტიკაში, ისწავლა საზღვარგარეთ და პ/რეზიდენტი გახდა.“

„მე თუ მოვკვდი, ჩემი გული უკრაინას ეკუთვნისო“, — თქვა საბჭოთა **КГБ**-ს და შემდეგ უკრაინის უშიშროების **СБУ**-ს გამოზრდილმა მიხეილ სააკაშვილმა. ეყვარება, აბა, რა იქნება, სული იქ ჩარჩენია, უკრაინის უშიშროებაში და გულიც იქით მიილტვის. ჩვენ კიდევ გვეგონა, ზურაბ ვარშალომიძე რომ გემრიელ ბორშჩს უმზადებდა კიევში, ამიტომ უყვარს კიევი, ტკბილ მოგონებებს აღუძრავსო. ისადა, ის ვარშალომიძე რაღას აკეთებდა იქა? ორი უცხო ენა იმასაც ეცოდინებოდა, თურქული და კიდევ ერთი, თუ მეტი არა, ნეტავ, „მასალად“ ის არ მოეწონათ „კაგებეშნიკებს“?

ამ ყველაფრის მერე რა საინტერესოა, ლЯკა რუბლიოვა უკრაინის მხარდასაჭერ აქციას რომ უდგას სათავეში და მყიფე უკრაინელები კუდს უწევენ...

ამასობაში კი ცრუ სნეული მსახიობის ისეთ ოსტატობას დაეუფლა, თვალსა და ხელსშუა ქრება. მამა-ძია ჩალაძემ თქვა, ასეა მისი ამბავი და მის გაქრობასთან ერთად ჩვენი ქვეყნის მომავალი ძალიან ბუნდოვანი ხდებაო.

რა საოხუნჯო ამბავი იქნება, ერთ დღეს მამა-ძია დიდ არტისტს რომ ეწვევა და ლოგინში არავინ დაუხვდეს, არც ფეხსალაგში, არადა, ხმა ესმოდეს, მამილო, მამალო მომიტანეო? ადამიანი რომ ქრება ხმაც ხომ არ უქრება, თვითონ ქრება...

დედა-გიული განიცდის, მიშიკომ ასე მითხრა, ძალიან სუსტად ვარ და ყოველ წუთს შეიძლება დამეწყოს ორგანოების ჩამოშლაო. „ორგანოების ჩამოშლა“ რომელიღა სპორტია, მე მხოლოდ „გრიჟას“ ჩამოსვლა, ჩიყვისა და სათესლე პარკებისა გამიგია, ამ ჩვენის „ორგანოჩამოშლილს“ კიდევ რა მიუდის ძირისკენ?

მესამე პრეზიდენტს კლავენ! — დაგვძახის ქორო.

ერთი ანეკდოტი გამახსენდა, ძველია, მაგრამ ზედგამოჭრილია „მიხეილ გამქრალზე“.







ამერიკის პრერიებია. ის დროა, სადღაც ოცამდე ქოხმახი რომ იდგა, დასახლება ერქვა და ყველა მათგანში საროსკიპო და ბარი იყო. საღამოა, სხედან ევროპიდან პირნაქცევი გამობრუჟული მომავალი ამერიკელები და შემოვარდა ტიპი, ატეხა სროლა, დალეწა ყველაფერი და გავარდა. ახალბედა საამერიკელომ იკითხა, ეს ვინ იყოო? „მოუხელთებელი ჯო“ იყოო. მართლა ასეთი მაგარია, რომ მოუხელთებელიაო? არა, უბრალოდ, ვის რა სირად უნდა მაგის მოხელთებაო. ასეა ამ ჩვენის „მიხეილ ჩამოშაშლელის“ ამბავიც, ვის რაში სჭირდება მისი მოკვლა? ან ვინ კლავს? გაგონილა, რომ ვინმეს ერთი წელი და 6 თვე კლავდნენ და ვერ მოეკლათ?!

**ზურაბ ოძელაშვილი**

# ძლევაი საკვირველი!

„ტრაბზონსპორ“-„ბაზელის“ საფეხბურთო მატჩისას გამოტანილ ბანერზე საქართველოს დროშა რომ ვერ დავინახეთ ქართველებმა, გული დაგვწყდა და უკმაყოფილო რეპლიკებმაც არ დააყოვნა. როგორც ყოველთვის და ყველაფერზე, ამ შემთხვევაშიც გაიყო ქართველების აზრი. ერთნი ამბობდნენ: რა უჭირს, მთავარია, ჩვენ სიკეთე ვაკეთოთო; მეორენი ამბობდნენ: ეს ბანერი კერძო პირმა შექმნა, ოფიციალურად თურქეთის შექმნილი ხომ არ არის, უამრავ მადლობას გვიძღვნიანო; მესამენი ამბობდნენ: გენეტიკური სიძულვილი აქვთ და ამ ბანერის შემქნელმა არც დამალაო. მე ჩემსას ვიტყვი: არასწორია — თურქული ტრაბზონი! სწორია — ქართული ტრაპიზონი! გნებავთ, ლაზურად ტრამტრა ან ტამტრა...

„1079 წელს თურქ-სელჩუკთა სულთნის, მალიქ-შაჰის ლაშქარმა, აჰმად ხანის სარდლობით, დაამარცხა ყველისციხეში მდგომი მეფე გიორგი II. მეფემ ბევრი მოღალატე ქართველიც შენიშნა მტრის ბანაკში, მაგრამ რაღა დროსი...

უკვე საქართველოდან გასულ აჰმადს, გზად მის ლაშქარზე გაცილებით დიდი ლაშქარი შემოეყარა იასი ამირასა და ბუჟღუშ ამირას სარდლობით.

— საით გაგიწევიათ? — იკითხა აჰმად ამირამ.

— საბერძნეთში მივდივართ სალაშქროდ.

— „რად წაზვალთ საბერძნეთად? აჰა, ქუეყანა საქართველო, უკაცური და სავსე ესევითარი სიმდიდრითა...“

...და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი. და დღესა ივანობისასა ასისფორნი და კლარჯეთი, ზღვის პირამდის შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა...“

ეს იყო პირველი „დიდი თურქობა“ (1080 წ.), რომელიც ყოველ გაზაფხულზე იწყებოდა და ზამთრამდე გრძელდებოდა.

ეკლესიები საჯინიბოებად იქცა, სასულიერო პირებს საკურთხეველზევე სჭრიდნენ ყელ▯, ყმაწვილებს კოდავდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ, ჩვილებს იტაცებდნენ...“ („უქარქაშო ხმლები“)

1121 წლის 12 აგვისტო — ძლევაი საკვირველი!

მტერი შემოვიდა თრიალეთს, მანგლისსა და დიდგორთა, რომელიც თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილსა...

დავით აღმაშენებელმა ჯარი დიდგორზე, ორ მთას შუა დააბანაკა.

ფრანგი გოტიე და არაბი იბნ ალ-სირი ერთნაირ ცნობებს გვაწვდიან, რომ ბრძოლის დაწყებამდე 200 მეომარი დაწინაურდა ქართველთა ლაშქრიდან და გაემართა მტრისკენ (გოტიე მათ ფრანგებად მიიჩნევს, იბნ ალ-სარი — ყივჩაღებად). თურქებმა იფიქრეს, რომ დასანებებლად მიდიოდნენ და მშვიდად დაელოდნენ მათ მიახლოებას. ახლოს მისულმა მეომრებმა ისრები დაუშინეს მტრის წინა რიგებს და შეირყა მტრის ლაშქარი. გაურკვევლობაში ჩავარდნილი უკანა რიგები დაიბნენ, აირივნენ, უკან დახევა და ერთმანეთისთვის ვნების მოტანა დაიწყეს გაქცეულებმა. ქართველები დაედევნენ გაქცეულებს და ათი ფარსაგი (დაახლოებით 70 კმ) სდიეს, ხოცავდნენ და ტყვედ იგდებდნენ მტერს. დიდძალი ალაფი დარჩათ ქართველებს... იმდენად დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა მტერს (300-400 ათასი/55600), რომ დავითის ისტორიკოსმა დიდგორის გამარჯვებას „ძლევაი საკვირველი“ უწოდა. ქართველი ერი ყოველთვის მოწიწებით იხენიებდა დიდგორის გმირებს და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად ეროვნული დღესასწაული „დიდგორობა“ დააწესა.

2017 წელი — თურქეთი გვკარნახობს, „დიდგორობა“ ვიზეიმოთ თუ არა.

„ხრესილის ბრძოლა“ გლოვის დღედ ხომ არ გამოვაცხადოთ, ჰკითხეთ, აბა, მოძმე თურქეთის საელჩოს... რატომაც არა, 45 000 „მოძმე“ თურქი მოკვდა და გამოსაგლოვია, აბა, არა? მოდიოდნენ საწყლები მეგობრულად, დახვდნენ ეს ველური ქართველები, აუშარდნენ და დახოცეს... განახლებულ ვაკის პარკში „უცნობი ასკერის“ ძვლები ხომ არ დავასვენოთ?

საუკუნეების წინათ, სტამბულის მონათა ბაზარზე ქართველები საუკეთესო საქონლად ითვლებოდნენ, ადვილად ხელმისაწვდომებიც იყვნენ და მიერეკებოდნენ კიდეც ქალსა თუ კაცს. რა ექნა თვისტომთაგანვე გაყიდულ ქართველს, რით ეშველა საკუთარი თავისთვის თურქეთისკენ მიმავალი გემის ერდოზე ხელ-ფეხ შეკრულს და მზის გულზე დაგდებულს? ...და სწავლობდნენ პოტენციური მონად გასაყიდი კოლხები ხელ-ფეხშეკრულ ცურვას და ასწავლიდნენ შთამომავლობას...




საუკუნეების წინათ, საქართველოს განვითარებულ ფეოდალურ მეურნეობას თურქ-სელჩუკთა მომთაბარულ-მეჯოგური ყოფა უპირისპირდებოდა, ქვას ქვაზე აღარ ტოვებდა. დღეს?!

დღეს თურქეთი ნატო-ს წევრი (დღეს კი არა, 1952 წლიდან) ქვეყანაა, პატივდებული და ანგარიშგასაწევი ძალა მსოფლიოში.

საქართველო? — ნატო-ს კარზე მიმდგარი მარადი მათხოვარი...

დღეს თურქი აღარ წვავს ქუთაისსა და არტანუჯს, აღარც კლარჯეთს, აღარც ხორნაბუჯი და არადეთი აქვს დასაპყრობ-მისატაცებელი და აღარც რუსთავი, დმანისი თუ სამშვილდე, რაც მისატაცებელი იყო, ადრევე მიიტაცა, რაზეც გული სწყდებოდა — მისცეს; რაზეც თვალი ჰქონდა დადგმული, თვითონ ჩაუხტა ხახაში, ხოლო რაც დარჩა, ანუ წვრილმანები, ისე გამოიწყო საქმე, რომ ისიც მისია, თურქული ტორი ადევს ზედ. თუმცა, საკითხავია, რამდენად წვრილმანია აჭარის სანაპირო ზოლი, ან ბათუმის აეროპორტი (თურქეთის შიდა რეისად რომ არის დატანებული) გნებავთ — რაც გნებავთ...

მაღალი ანაზღაურების იმედით, ქართველები (იმედით, თორემ სინამდვილეში, მონური შრომისთვის) სამუშაოს საძებრად თურქეთისკენ გაკვალულ ბილიკებს მიუყვებიან (ვინ კერძო ბორდელში ამოყოფს თავს და ვინ მეკურტნე ხდება, სხვა თემაა), თურქები საქართველოში თურქულსავე კომპანიებში მუშაობენ გამოწკეპილები, „უკიდურეს“ შემთხვევაში, მშენებლობებზე, ოღონდ, რა თქმა უნდა, კვლავ თურქული კომპანიების მიერ წარმოებულში და თან მაღალი ანაზღაურებით...

„საქართველოსა და თურქეთის მეგობრობა უძველეს და ძალიან ურყევ საძირკველზე დგას!“ (საქართველოს მთავრობის განცხადებიდან) სპარსელები, ნეტავ, რითი იყვნენ ნაკლები „მეგობრები“, ან სხვანი და სხვანი?!

რუსეთ-საქართველოს შორის თურქეთში (2010 წ.), აქჩააბათის სტადიონზე გამართულ რაგბის მატჩზე საუბრით შეძრული იყო ქართული მედიასივრცე, არადა,




სიტყვადაც არავის დაუსველებია, რომ ეს მატჩი თურქეთში კი არა, თურქეთის მიერ სისხლით, ხორცით და სულიერი საგანძურით, ქართული ეკლესია-მონასტრებით მიტაცებულ საქართველოს ტერიტორიაზე ტარდებოდა; თამარ მეფის სამეფო კარის ინიციატივითა და ხელშეწყობით დაარსებულ, ისტორიულად ლაზებისა და ჭანების პონტოს სამეფოში, ისტორიულ ლაზიკაში; რომ თამარს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს მიწების საქართველოსავე ფარგლებში მოქცევა და დაიბრუნა კიდეც: ჭანეთი, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა, ამასტრისი, ჰერაკლეა, პაფლაგონია და ბიზანტიამ ხმა ვერ ამოიღო; სიტყვა არავის დაუსველებია, რომ ერთი ოკუპანტი ქვეყნის ტერიტორიაზე მეორე ოკუპანტი ქვეყნის მორაგბეებს ეთამაშებოდნენ ქართველი მორაგბეები, ღვთითბოძებულ თავიანთსავე მშობლიურ მიწაზე...

საინტერესოა, იქ, რაგბის მოედანზე მოკიჟინე ხუთი ათასი ქართველი გულშემატკივრიდან (ნეტავ, რამდენ მათგანს აქვს წარმოდგენა რაგბზე) რამდენი იყო ქრისტიანი, რამდენს ეკიდა გულზე ჯვარი, რამდენს აქვს წაკითხული საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი მაინც და რამდენმა გაიფიქრა, ხომ შეიძლებოდა, დავბადებულიყავ, მაგრამ უკვე არა ქართველად და დედას შიშით, ჩურჩულით ემღერა ჩემთვის „ნანაო“?

ოთხი მეზობელი ჰყავს საქართველოს: მუსლიმანი თურქეთი, მუსლიმანი აზერბაიჯანი, გრიგორიანული სომხეთი და ქრისტიანი რუსეთი. დღემდე არცერთთან ოფიციალური საზღვარი არ აქვს დაზუსტებული საქართველოს ხელისუფლებას, ვისაც საით უნდა, იქით სწევენ სათავისოდ ასეული მეტრობით და ხელისუფლების უსუსურობის გამო, სადემარკაციო ხაზის წარმოსახვა იდეაშიც არ შეუძლიათ ამ საქმის ქართველ მესვეურებს. პირველ სამ მათგანს ისე აქვს საქართველოს ტერიტორიები მიტაცებული და ჩაბღუჯული, ვერანაირი ისტორიული სამართლიანობით რომ ვერ გამოღლეტს ვერავინ უკან (კიდევ აქეთ გედავებიან) და მაინც, დღეს „მეზობელი და მოძმე“ ჰქვიათ... რაც ვერ წაიღეს, ქრისტიანობაა (საქართველოში არსებულ 365 ქართულ ეკლესიაზე დღესაც აქვს პრეტენზია სომხეთის მხარეს), ესეც იმ მეოთხე, მართლმადიდებელი ძლიერი მეზობლის შემწეობით და, რა ვქნათ, რაღა იმას ვერ ვეწყობით, მხოლოდ მას რატომ ვაღიარებთ ოკუპანტად, მხოლოდ რუსეთს რატომ ვუთვლით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პროცენტებს, პატარა ძაღლის სინდრომი გვაქვს (პატარა ფინია განსაკუთრებულ სიავეს იჩენს დიდი ჯიშის ძაღლის მიმართ, ოღონდ, თუ დაცულად გრძნობს თავს)? ცხოველმა, იმ ფინიამაც კი იცის, როდის დაუწყოს ღრენა დიდ ძაღლს და ჩვენ რამ გაგვხადა ასეთი გონება და ტვინგამრუდებულები?

ბრესტის ზავის დადების შემდეგ, თურქები ბათუმის, ყარსისა და არტაანის მხარის დაკანონებას ითხოვდნენ. ამიერკავკასიის სეიმი ამ პირობებს არ ცნობდა. გაგულისებული თურქები ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ და საქართველო იძულებული გახდა, საზავო მოლაპარაკება დაეწყო. ა. ჩხენკელის მეთაურობით ტრაბზონში ჩასული დელეგაცია იმედგაცრუებული გამობრუნდა უკან, რადგან მოლაპარაკება ჩაიშალა. თურქებმა შეტევა განაახლეს და დაიკავეს: ბათუმი, ყარსი, არტაანი და ოზურგეთი. 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და გერმანიის დახმარებით გადაწყვიტა საქართველოს ტერიტორიული პრობლემის მოგვარება, მაგრამ მოლაპარაკება ისევ ჩაიშალა და თურქებმაც კვლავ წამოიწყეს შეტევა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა, ხელი მოეწერა თავსმოხვეული „მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულებაზე“ თურქეთთან, მაგრამ უარესი პირობებით, ვიდრე ბრესტის ზავი იყო. ოსმალეთს გადაეცა ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რის შედეგადაც, საქართველოს ჩამოეჭრა 10 000 კვადრატული კილომეტრი და 350 000 მცხოვრები, — ეს



ხომ ათი საუკუნის წინათ არ მომხდარა, გუშინ იყო, იმ საუკუნეში, როცა ჩვენ დავიბადეთ...

წინათ მტერი საბრძოლო იარაღით მოდიოდა, ხილული იყო და შენც მტრულად უხვდებოდი. ახლა უხილავი მტერი ღიმილით მოდის, ტკბილეულით, სათამაშოებით, ტანსაცმლით, პრიზებითა და სიურპრიზებით და როგორ უნდა შემოსწყრე, რა მოტივით? და ჩანს მხოლოდ ერთი მტერი — რუსეთი.

სამოცდაათი წელი რუსეთში კი არა, საბჭოთა კავშირში, ბოლშევიკურ ქვაბში ვიყავით ყველანი, ქართველიც, რუსიც, უზბეკიც, სომეხიც და ყველა დანარჩენიც; სამოცდაათი წელი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკებისთვის საურთიერთობო ენა ერთი იყო, რუსული, მაგრამ არავის დაუკარგავს თავისი ეროვნული და არ შეუთვისებია უცხო ტომისა; არავის დაუკარგავს თავისი ტრადიციული რელიგიური ორიენტაცია; არავის უგრძვნია თავი უსამშობლოდ, გასხვისებულად, წუნდებულად, ჩამოწერილად, ჩარეცხილად და, თუ სამართალია, ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველობა საამაყო იყო, ქართველი მისაღები ერი იყო (იყო!) ყველასთვის, ლამაზი, მხრებში გაშლილი, განათლებული, მოვლილი...

„დიდი თურქობა“ კარგა ხნის დაწყებულია, მაგრამ მაინც, თუ ასე გაგრძელდა, რაგინდ საფუძვლიანად შევისწავლოთ „კოლხური ხელ-ფეხ-შეკრული,“ საშველი არ დაგვადგება, რადგან ნაპირი, სადამდეც უნდა მივცუროთ, სამშობლო, აღარ გვექნება და მონად თურქს გაუხდები, ჩინელს, ევროპელს თუ ამერიკელს, რაღა მნიშვნელობა ექნება...

სასაცილოდ აღარ აღიქმება ის, რაც სულის ტკივილიდან მოდის — „დიდგორობა“ გავაუქმოთ და „თურქ-სელჯუკთა გენოციდის დღედ“ ვაღიაროთ; ვარანცოველ არაბებს დავუბრუნოთ თბილისის სიმბოლური გასაღები; კამოს ძეგლი გავხსნათ „ველისაპეტ-ორრულოვსის“ ქანდაკების ნაცვლად; „ნაჯმ ად–დინ ილღაზის“ პროსპექტი დავარქვათ აღმაშენებლის პროსპექტს; ფრესკები კოხტად შევათეთროთ; ვაზიც გავჩეხოთ და ნესვი გავაშენოთ, თორემ, რაღაც, უხერხულია მგონი, ჩვენს „სტრატეგიულ მეზობლებთან“... კი, ასე უნდა მოვიქცეთ, თუ ქვეყანას პატრონი არ ჰყავს; თუ მის ხელისუფლებას ღირსება არ გააჩნია და მხოლოდ საზღვარგარეთიდან წამოსული დირექტივების შემსრულებელი იქნება და ამიტომ პატივს არავინ სცემს უბანში — კავკასიაში, სრულიად სამეზობლოში...

მეგობარმა და მეზობელმა თურქეთმა — დიდგორი უარჰყავითო (არა მხოლოდ)!

მეგობარმა და მეზობელმა სომხებმა, — რა ჩამოთვლის!

მეგობარმა და მეზობელმა აზერბაიჯანმა, — დავით გარეჯი ჩვენიაო (არა მხოლოდ)!

ერთადერთი ოკუპანტი მეზობელი გვყავს მხოლოდ ქართველებს თურმე და ამ დროულ გახსენებაზე, ისტორიული ძმისა და მეგობრის ხათრით, დავით აღმაშენებელი რუსეთის აგენტად ხომ არ გამოგვეცხადებინა და დაგვეგმო, ხოლო ღორისა და მისი ხორცის აკრძალვის შესახებ კანონპროექტი შეგვემუშავებინა?

სოფელ ხრესილთან აღმართულ საბრძოლო მემორიალზე არსებულ წარწერაზე ნათლად ჩანს წარწერის კვალი, რომელიც წაშლამდე გვამცნობდა, რომ 1757 წელს მეფე სოლონ პირველის მეთაურობით ქართველთა ლაშქარმა სძლია თურქ დამპყრობელს, ახლა კი მტრის ვინაობა მხოლოდ ერთი სიტყვითაა ჩანაცვლებული „მტერს“. ეს გადასწორება მოხდა, სავარაუდოდ, 2009 წელს.



როგორც ჩანს, ისედაც გაყალბებულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში მალე გაქრება საქართველოსთან ისტორიულად დაპირისპირებულ მტერთა ვინაობა.

გუშინ ხრესილი, დღეს — დიდგორი, ხვალ?

თუმცა, რაღა ხვალ, კვირიკაშვილის პრემიერობის დროს მისგან გავიგე, რომ ამჯერად უკვე ირანსა და საქართველოს ჰქონია მეგობრობისა და კეთილმეზობლობის მრავალწლიანი ტრადიცია.

თქვენ ძალზე შეუძლოდ ხომ არ ხართ, ბატონებო?

„დიდი სომხეთი“ რომ გაუდით დროდადრო, ვითომ რამე ესმით, „დიდი თურანი“ ჩკაა?



აბა, მოკლედ გავიაზროთ, ვის გეგმებშია „დიდი თურანი“ და ვის გეგმებში — არა.

„დიდი თურანის“ პროექტია თურქი ხალხის გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუდგება 87 მლნ-იანი თურქეთი. უკვე შეიქმნა დიდი პლატფორმაც — თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია (**“Organization of Turkic States”**) და უკვე დაიწყეს უმაღლესი დონის შეხვედრების ორგანიზება. 2022 წლის მონაცემებით, ორგანიზაციის წევრები არიან: თურქეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ყაზახეთი და უზბეკეთი. კოლექტიურ დასავლეთს ძალიან აწყობს „დიდი თურანის“ შექმნა. ამით ისინი დააბალანსებენ რუსეთს, ერთი მხრივ და მეორე მხრივ, ჩინეთსა და ირანს. ამიტომ მის გაძლიერებას აშშ-იც ხელს შეუწყობს და დიდი ბრიტანეთიც, ერთადერთი ისაა, რომ აუკრძალავენ ევროპისკენ გაფართოებას. ყაზახეთს ესაზღვრება ჩინეთში მდებარე უიღურების რეგიონი, სადაც 50 მლნ-მდე უიღური ცხოვრობს და უკვე ისედაც ქმნიან პრობლემას ჩინეთში, მით უმეტეს, როცა ამხელა ზურგს იგრძნობენ.

თუ ეს გაერთიანება სიცოცხლისუნარიანი გახდა და სერიოზულად მოძლიერდა, მთელი ჩრდილოეთ კავკასია თურქეთისკენ იზამს პირს, მით უფრო, თუ სუნიტი ძმებისგან სერიოზული მხარდაჭერა იგრძნეს. ასევე, თურქეთში არის ნახევარ მილიონამდე მუჰაჯირი (აფსუა) და 5 მლნ-მდე ჩერქეზი და მათ სამშობლოში უნდათ დაბრუნება, რაც თურქეთის ინტერესებშიცაა. თურქეთში ასევე არიან ერთ დროს სამცხე-ჯავახეთიდან განდევნილი ე.წ. „თურქი-მესხები“, რეალურად თურქები ე.წ. აჰისკები, რომლებიც პროთურქული განწყობით და მკაცრი ისლამური წესებით გამოირჩევიან. აქამდე თუ გვთხოვდნენ, მერე არავინ შეგვეკითხება, ისინიც დაბრუნდებიან და ჩვენ, ევროპისკენ მომზირალი მარადიული მოტირლები, თურქეთის გავლენის ზონა ისე გავხდებით, თვალის დახამხამებას ვერ მოვასწრებთ, ისე მოხდება საბოლოო თურქიზაცია. ნეტავ, „ახჩიკები“ რას ფიქრობენ ამ საკითხზე, ისინიც ხომ ჩვენთან ერთად ჩაინთქმებიან?

ერთი კაცისა არ იყოს, ჩვენ გამოვდგეთ შარაზე და მრავალსაუკუნოვან მეგობრებად გამოვაცხადოთ ყველა დამპყრობელი რუსეთის გარდა, რადგან ეს ოკუპანტი რუსეთი მე-18 საუკუნეში შემოგვივარდა, კახეთიდან დაწყებული ქართლის გავლით იმერეთში, ბოლოს სამეგრელოში და ლამის კეტი გვირტყა, რა ამბავია ამდენი საქართველო, გაერთიანდით და ერთიანი საქართველო იყავითო. ხომ აღარ გაჩერდა, გაენთო და წიხლისკვრით გაგვიგდო ჩახუტებული თურქი ძმები ფოთიდან, ბათუმიდან, ახალციხიდან და დავრჩით თურქებზე ჩუუხუტებლები. რუსეთმა და საბჭოთა პროპაგანდამ დაგვაჯერა, თორემ რა „დიდი თურქობა“ და რა აღა მაჰმად ხანი, თემურ ლენგი და მურვან ყრუ, ან რა „არაბობა საქართველოში“...

ყოვლად გაუგებარია, რატომ გაურბიან იმ გეოპოლიტიკურ რეალობას, რომელშიც საქართველოა. რაო, პოლიტოლოგებმა, ჟურნალისტს არ დაუსვამს შეკითხვა, თორემ ვუპასუხებდითო?

აქ ვარ და შეკითხვა მაქვს: თუ რუსეთი დაიშლება, რა ელის საქართველოს, რამე ხსნას ხედავთ? იძულებული ვარ, თავადვე ვუპასუხო მაქსიმალურად მოკლედ და გასაგებად: ვერაფერს!

ჩემი ვირტუალური მეგობრისა არ იყოს, დიახ, ვერაფერს „ვუზამთ“ ჩრდილოკავკასიელ „ისტებს“, ჯიჰადისტი ერქმევა, ტერორისტი, სალაფიტი თუ სხვა. „კავკასიური სახლი“ იყო და არის ის ქოხი, რომელიც მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ მუშაობს, სხვა შემთხვევაში წამში აბრიალდება. რა თქმა უნდა, მათ ზღვაზე გასასვლელი აინტერესებთ და სრული სიამტკბილობით გაივლიან აფხაზეთზე...

დიახ, ვერაფერს ვუშვრებით და ვუზამთ სომხეთსა და აზერბაიჯანს, რომელთაც ისედაც მიტაცებულ-მოპარული აქვთ საქართველოს ტერიტორიები და გაცილებით მეტზე აქვთ პრეტენზია, საკუთრივ საქართველოში კი კომპაქტურად დასახლებული ეთნოსი ჰყავთ.

ვერაფერს ვუზამთ ირანს, რომელიც მიიჩნევს, რომ რუსეთმა მხოლოდ დროებით ააცალა საქართველოს გვარიანი ნაწილი, თორემ მისია. ცნობილია, რა შეთხზულ ამბებს უყვებიან ირანელი გიდები ირანელ ტურისტებს. ამას რომ ვერაფერს ვუზამთ, უკვე ვთქვი.

ვის გჯერათ, რომ კოლექტიური დასავლეთი ჩადგება და თავს შეაკლავს ამ ყველა ისტორიულ მტერს, ხელი არ ახლოთ პაწია საქართველოსო?

დღესდღეისობით, იქიდანა და აქამდე, რუსეთის ფაქტორია შემაკავებელი, თორემ აქამდე ისე ექნებოდა ჩვენი ბუმბული წაღებული ნიავსა, ვერავის გავაგონებდით ჩვენს წიავ-წიავსა...

ოკუპანტია რუსეთიც და ყველა სხვა დანარჩენიც, მაგრამ, რასაც ვამბობ, იმის გაგებას ტვინი უნდა და ვინც ვერ იგებს, საკუთარ თავს დააბრალოს...

ღვთისმშობელო, შენ დაგვიფარე!

**ნინო დაუშვილი**



*გვესაუბრება დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე:*

# თუ 2030 წელს 30 ათასი ბავშვი არ დაიბადა, ეს ქვეყნის დასასრულს ნიშნავს

**— ბატონო ანზორ, რა ვითარებაა ქვეყანაში დემოგრაფიული თვალსაზრისით?**

— ერის სრულფასოვანი ცხოვრებისთვის, მისი ქვეყნის ტერიტორიის შესაბამისი მოსახლეობის გარკვეული როდენობა აუცილებელი პირობაა. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 30 წელია კლებისკენ მიდის. შუა საუკუნეების შემდეგ საქართველო ყველაზე მრავალრიცხოვანი 1992 წელს იყო. ცნობილი მიზეზების გამო, 1992-2022 წლებში ქვეყნის მოსახლეობა მილიონ 778 ათასით შემცირდა. თუკი 1992 წელს ხუთი მილიონ 465 ათასი ვიყავით, 2022 წელს მხოლოდ სამი მილიონ 689 ათასი დავრჩით. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა ქვეყნის ყველა, განსაკუთრებით კი ქართველებით დასახლებულ რეგიონებში შემცირდა. ყველაზე ხალხმრავალი რეგიონი იმერეთი იყო, რომელიც ახლა 314 ათასი მოსახლითაა შემცირებული. ქვემო ქართლის მოსახლეობა 185 ათასით შემცირდა, კახეთის — 144 ათასით, სამეგრელო ზემო სვანეთი — 132 ათასით და ა.შ. რაც შეეხება ქვემო ქართლს, რომელიც ქართველებით სანახევროდ არის დასახლებული, იქ მოსახლეობა 185 ათასით შემცირდა. თუმცა, შემცირება, ძირითადად, უპირატესად ქართველებით დასახლებული მუნიციპალიტეტების ხარჯზე მოხდა. მაგალითად, მეტწილად აზერბაიჯანელებით დასახლებულ მარნეულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა მხოლოდ 9%-ით შემცირდა, ხოლო უპირატესად ქართველებით დასახლებულ რუსთავსა და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტებში — 20-38%-ით. მინდა გითხრათ, რომ საქართველოს მოსახლეობის უწყვეტი შემცირება მეტად საყურადღებო დემოგრაფიულ საფრთხეს წარმოადგენს. ასეთმა ვითარებამ ჩვენს ქვეყანაში, შესაძლოა, ძლიერი მიგრაციული პროცესები გამოიწვიოს. მით უმეტეს, მაშინ, როცა ჩვენს მეზობელ ქვეყნებში შობადობის ბუმია. ეს ძალიან საშიშია, რადგან ჩვენთან ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების უაღრესად შემცირება სწორედ მეზობელი ქვეყნების დემოგრაფიული ბუმის ფონზე ხდება. აღსანიშნავია, რომ 1926 წელს სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მოსაზღვრე რესპუბლიკების მოსახლეობის 35% ანუ, ყოველი მესამე ადამიანი საქართველოში ცხოვრობდა. აღნიშნულმა მაჩვენებლებმა 2017 წელს მხოლოდ 15% შეადგინა. სამაგიეროდ, აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებელი 15%-დან 41 %-მდე გაიზარდა. მოსახლეობის პერმანენტული შემცირებით თვით ხალხმრავალი რუსეთიც კი შეშფოთებულია. ცნობილი რუსი დემოგრაფების აზრით, თუ ასე გაგრძელდა, რუსეთი პოლიტიკური რუკიდან გაქრება და მას რომელიმე უფრო დიდი მეზობელი მიიერთებს.

**— მოსახლეობის კლების კუთხით სოფლად რა ვითარებაა?**

— ბოლო წლებში სოფლის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ 1992 წელს სოფლად სულ ორი მილიონ 484 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 2002 წელს ეს მაჩვენებელი მილიონ 744 ათასი გახლდათ, ხოლო 2022 წლის იანვარში მილიონ 487 ათასი ადამიანი შეადგინა. ანუ, 1992-2022 წლებში, 30 წელიწადში, ჩვენი ქვეყნის სოფლის მოსახლეობა 997 ათასი ადამიანით, ანუ, თითქმის მილიონით შემცირდა. საინტერესოა შემდეგი გარემოება: მოსახლეობის აღწერის 2002 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ოცდარვა სოფელში მოსახლეობა, ცალ-ცალკე აღებული, ხუთი ათას კაცს არ აღემატებოდა. 2002-2014 წლებში ანუ, თორმეტ წელიწადში, ამ ოდენობის მაცხოვრებელი თორმეტ სოფელში დაფიქსირდა. 2014 წელს საქართველოში, უკვე 223 გაუკაცრიელებული სოფელი არსებობდა. მაგალითად, 39 სოფელში ერთი კაცი ცხოვრობდა, 46 სოფელში — ორი, 27 სოფელში — სამი და ა.შ. ქართულმა სახელმწიფოებრიობამ გამოხატულება, უპირველესად, ქართულ სოფლებში ჰპოვა. დიახ, სოფელმა განსაზღვრა ქართული ცხოვრების კულტურა, ტრადიციები, ქცევის ნორმები, ადათ-წესები და რიტუალები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა, მდიდრდებოდა და, საბოლოოდ, ქართველი ხალხის ფსიქიკურ წყობაში იჩენდა თავს.

**— რამდენად მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოს ფართობი ოკუპაციის შემდეგ და რომელია ფართობისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით გამორჩეული რეგიონები?**

— საქართველოს ფართობი ოკუპაციამდე 69 ათას 700 კვადრატული კილომეტრი იყო. ამჯერად, ტერიტორია, რომელზეც საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია ვრცელდება, 57 ათას 178 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. არაოკუპირებული ნაწილი ათ რეგიონს მოიცავს. ესენია: აჭარა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი. რეგიონები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ფართობის სიდიდით, ისე მოსახლეობის სიმჭიდროვით. ფართობის სიდიდით პირველ ადგილზეა კახეთი, მეორე ადგილზეა სამეგრელო-ზემო სვანეთი, მესამეზე — ქვემო ქართლი, მეოთხეზე — იმერეთი, მეხუთეზე — სამცხე-ჯავახეთი და ა.შ. მოსახლეობის რაოდენობის შემცირებასთან ერთად, რეგიონებში ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოსახლეობის სიმჭიდროვე სულ უფრო და უფრო მცირდება. ასეთი პროცესები მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ განვითარებასა და შობადობაზე უარყოფითად მოქმედებს.

**— მოსახლეობის ზრდის მიხედვით დედაქალაქში რა ვითარება გვაქვს?**

— თბილისის მოსახლეობის ოდენობა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა. დედაქალაქი თავკომბალას ემსგავსება. 1992 წელს თბილისის მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის 23%-ს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქის მოსახლეობამ რაოდენობრივად ჯერ კიდევ ვერ მიაღწია 1992 წლის მაჩვენებელს, ქვეყნის მოსახლობის კატასტროფულად შემცირების შედეგად, აქ ამჟამად მილიონ 202 ათასი მცხოვრებია. ანუ, ქვეყნის მთელი მოსახლეობის 33%, თითქმის მესამედი. ზოგადად, მცირერიცხოვანი ქვეყნების დედაქალაქებში ბევრი მოსახლე ცხოვრობს. თბილისიც დემოგრაფიულად ყოველწლიურად ინტენსიურად იზრდება, რაც სამომავლოდ ბევრ სახიფათო დემოგრაფიულ პრობლემას შექმნის. საერთოდ, დედაქალაქებში დაბალია შობადობის დონე, მწვავდება დასაქმება-მომარაგების პრობლემები და სხვა.



ამ ეტაპზე თბილისის შემდეგ ყველაზე ბევრი — 466 ათასი ადამიანი იმერეთში ცხოვრობს. დიახ, იმერეთი საქართველოს ყველაზე ხალხმრავალი რეგიონი გახლავთ. ანუ, იქ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 13% ცხოვრობს. შემდეგ მოდის ქვემო ქართლი, სადაც 434 ათასი ადამიანი ცხოვრობს ანუ, ქვეყნის მთელი მოსახლეობის 12%, აჭარაში — 354 ათასი ანუ, 9%, კახეთში — 305 ათასი ანუ 8%, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 301 ათასი ანუ 8%, შიდა ქართლში — 250 ათასი ანუ 7%, სამცხე-ჯავახეთში — 148 ათასი ანუ 4%, გურიაში — 105 ათასი ანუ 3%, მცხეთა-მთიანეთში — 92 ათასი ანუ 2,5%, რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო-სვანეთში — 27 ათასი ანუ 0,7%.

**— რა წარმოადგენს ყველაზე დიდ საფრთხეს ქვეყნის დემოგრაფიის მხრივ?**

— საქართველოსთვის ყურადსაღები დემოგრაფიული საფრთხე, განსაკუთრებით, მთიან და სასაზღვრო ზონაში მდებარე მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უწყვეტი შემცირება და, ფაქტობრივად, მათი გაუკაცრიელებაა. კერძოდ, 2022 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში 3,8 ათასი ადამიანი ცხოვრობდა, ონში — 5,4 ათასი, ცაგერში — 8,1 ათასი, ამბროლაურსა და თიანეთში — 10-10 ათასი და ა.შ. ეს კატასტროფაა. მართალია, ეს მუნიციპალიტეტები მოსახლეობის სიმრავლით არასდროს გამოირჩეოდნენ, მაგრამ ბოლო წლებში მოსახლეობის შემცირება საოცარი სისწრაფით დაიწყო. **საქართველოში სრული 59 მუნიციპალიტეტიდან 18 მათგანში, ცალ-ცალკე აღებული, ოცი ათასი მცხოვრებლით ნაკლებია. შექმნილ ვითარებას ისიც ართულებს, რომ ამ მუნიციპალიტეტების მოსახლეობა არათუ დაბერებული, არამედ გადაბერებულია.** ჯერ კიდევ 1999 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმში მოსახლეობის დაბერების უაღრესად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. შემდგომ წლებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ახალგაზრდობა სოფლიდან მიდის და იქ მხოლოდ მოხუცები რჩებიან. ადრე ასი კაციდან სამოცი თუ ახალგაზრდა იყო, ახლა ახალგაზრდა მხოლოდ ათია და დანარჩენი მოხუცები არიან. ახალგაზრდა ასაკში მიგრაციული პროცესები ძალიან ინტენსიური გახდა. ანალოგიური ვითარებაა სხვა მუნიციპალიტეტებშიც.

**— როგორც საუბრობენ, წელს შობადობას სიკვდილიანობამ გადააჭარბა. ეს რამ განაპირობა?**

— ოცდაათი წელია, რაც თითქმის ყოველწლიურად ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება. 2022 წელს კორონა-ვირუსების პანდემიის შედეგად, საშინელი „დემოგრაფიული ზამთარი“ დაგვიდგა. ილია ამბობდა: კაცი როცა კვდება, იგი თავის თავს უკვდებაო. მაგრამ, **როდესაც რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღიურად მხოლოდ ეპიდემიის გამო 80-ზე მეტი ადამიანი იღუპება, ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის ეს უკვე ეროვნული ტრაგედიაა.** სამწუხაროდ, 2021 წელს, თითქმის ყველა პარამეტრის მიხედვით, დემოგრაფიული ვითარება გაუარესდა. 1990 წელს საქართველოში 92 ათას 815 ბავშვი დაიბადა, ხოლო 2015 წელს — 59.249 ათასი. შემდეგ, 2016-2021 წლებში შობადობა კატასტროფულად შემცირდა. 2021 წელს ამ მაჩვენებელმა 45.946 ბავშვი შეადგინა. ე.ი. ექვს წელიწადში 13.303 ბავშვით ნაკლები დაიბადა. **თუ შობადობის შემცირება ასეთი ტემპით გაგრძელდა და რაიმე არ ვიღონეთ, 2030 წლისთვის 15 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადება. ანუ, 2030 წელს ოცდაათი ათასი ბავშვიც აღარ დაიბადება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ წელიწადში**



**მხოლოდ თხუთმეტი ათასი ვაჟი და ამდენივე გოგონა მოევლინება ქვეყნიერებას, რაც ჩვენი ცხოვრების დასასრულზე მიგვანიშნებს.**

აქვე მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: **მხოლოდ თხუთმეტი ათასი დაბადებული ვაჟით ქართული ჯარის დაკომპლექტებაც ძალიან გაჭირდება**, რადგან მათმა გარკვეულმა ნაწილმა, აუცილებლად, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროშიც უნდა იმუშაოს. ასეთ ვითარებაში მოდი და ჭკუა მოჰკითხე ისედაც ჭკუადაცურებულ „გირჩელებს“, რომლებმაც რაღაც რელიგიური სექტა შექმნეს და შვიდი ათასზე მეტი ახალგაზრდა სავალდებული სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლეს. პირადად მე დიდ სირცხვილად მიმაჩნია ზურაბ-გირჩი ჯაფარიძე, იაგო ხვიჩია და ვახტანგ მეგრელიშვილი და ბევრი სხვაც, პარლამენტის სავარძლებში რომ სხედან და მამულის ბედზე მსჯელობენ, თან დიპლოპიტოზე უკრავენ. ამ დროს განათლებული ქართველები მათ ბჟუტურს ისმენენ.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ დემოგრაფიული კრიზისი ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე სოციალურ-ეკონომიკური. დიახ, ამ ტრაგიკულ ვითარებაზე დაფიქრებაა საჭირო. ჩვენ მეცნიერული კვლევა უნდა ჩავატაროთ, შევიმუშავოთ დაზუსტებული და ეფექტური საოჯახო პროგრამა, რაც მთავარია, თითოეულმა ოჯახმა სამი შვილის გაჩენა ნორმად უნდა მიიჩნიოს.

**— რატომ არ მრავლდება საქართველოს მოსახლეობა?**

— საქართველოზე უარესი მდგომარეობაა რუსეთში, უკრაინაში, მოლდოვაში და ა.შ., რაც საბჭოთა კავშირის ელვისებურმა დაშლამ გამოიწვია, რა დროსაც



საარსებო სივრცეების ძიება დავიწყეთ. ადრე თვითმფრინავებს ვაწარმოებდით, ელმავალმშენებლობაც გვქონდა. უცებ ყველაფერი დაიშალა. მოსახლეობა კიდევ იმიტომ არ მრავლდება, რომ საქართველოში დასავლეთიდან ლგბტ მოძრაობის პროპაგანდა მასობრივად გავრცელდა. არაერთი ბრძოლაც გამოვიარეთ. გარდა ამისა, დაქორწინების საშუალო ასაკი ძალიან გაიზარდა. თუ 90-იან წლებში ქალების დაქორწინების საშუალო ასაკი ოცდასამი წელი იყო, ახლა — ოცდათერთმეტია. ასევე გაიზარდა მამაკაცის დაქორწინების ასაკი ოცდაექვსიდან ოცდათერთმეტ წლამდე. ადრე მამაკაცები საშუალოდ ოცდაექვსი წლის ასაკში ქორწინდებოდნენ, ახლა კი ამას ოცდაცამეტი წლის ასაკში აკეთებენ. რაც უფრო გვიან ხდება დაქორწინება, ბუნებრივია, შობადობა მით უფრო მცირდება. გარდა ამისა, ზოგი განმაპირობებელი ფაქტორი სოციალურ-ეკონომიკურ საკითხს არც მიეკუთვნება. სულ სხვა, ახალი ფაქტორები წამოვიდა. მაგალითად, ახლა ძალიან გახშირდა ოცდათხუთმეტი და უფრო უფროსი ასაკის ქალების ქორწინება. **როცა ქორწინება ოცდათხუთმეტი წლიდან და ზემოთ ხდება, ქალები ბევრ ბავშვს აღარ ბადებენ.** ეს რუსეთშიც ასეა და, ზოგადად, მსოფლიოშიც. გლობალიზაციაა. დასაქორწინებლად ყველაზე კარგი ასაკი 20-24 წელია, მაგრამ ეს ასაკი ახლა 35 და მეტ წლამდე გადაიწია. ეს საქართველოსაც შეეხო. ქალი რაც უფრო ასაკში მშობიარობს, მით მეტია დაბადებულ ბავშვებში პათოლოგიები: გულის მანკი, ჭკუასუსტობა და სხვა.

**— მოსახლეობის შემცირების კუთხით მაღალი რისკის ქვეყნებს რამდენად განვეკუთვნებით?**

— საქართველო მოსახლეობის შემცირების თვალსაზრისით, საკმაოდ მაღალი რისკის ქვეყანაა. მე სტატისტიკური მასალები დავამუშავე და მინდა შემდეგი რამ გითხრათ: **თუ ჩვენ დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად ხელშესახებ, მნიშვნელოვან ღონისძიებებს არ გავატარებთ, ხუთ-ექვს ათეულ წელიწადში დემოგრაფიული მუნიციპალიტეტების უმრავლესობა გაუკაცრიელდება.** სოფლები უკვე დაცლილია. მიგრაციული მაჩვენებელი ძალიან აგრესიული გახდა. ერთი მხრივ, გვაქვს შიდა, ხოლო მეორე მხრივ, გარე მიგრაცია. თანაც, ვინ გადის? — ქვეყნის ყველაზე განათლებული, ჯანმრთელი, მებრძოლი ნაწილი, რომელსაც შეუძლია, ცხოვრებისეულ სიძნელეებს კარგად გაუმკლავდეს. უკვე ოცდაათი წელია, ეს ვითარებაა — აქ მოხუცებული ხალხი რჩება, რაც ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალზე და ყველა დემოგრაფიულ მონაცემზე უარყოფითად აისახება.

**— ზემოთ ახსენეთ, თითოეულმა ოჯახმა მიზნად სამი შვილის გაჩენა უნდა დაისახოსო. რატომ მეტი არა?**

— მრავალი შვილის ყოლა საჭირო არ არის. სამი ბავშვის ყოლა იცით, რატომ ვახსენე? — ზღაპრებიდან ხომ გახსოვთ, როცა ძმები გველეშაპის მოსაკლავად მიდიან, პირველი ბავშვი ამას ვერ ახერხებს, მეორე სანახევროდ ართმევს თავს დაკისრებულ ამოცანას და მესამე უკვე გველეშაპს კლავს. საქმე ის გახლავთ, რომ პირველი ბავშვი ნაკლებად სიცოცხლისუნარიანია. მაგრამ არც გადამეტებაა საჭირო. ქალი რაც უფრო ბევრ ბავშვს ბადებს (მე-9, მე-10 და ა.შ), მით უფრო იზრდება ავადმყოფობების რიცხვი. ვღებულობთ მუცელში ავადმყოფ ნაყოფს, მერე ავადმყოფ მოზარდს, ავადმყოფ მშობელს და, შედეგად, უკვე ერი დაავადებულია. **21-ე საუკუნეში როგორ შეიძლება 10-14 ბავშვის გაჩენა?!** ასე ხომ 12-13 წელი ძუძუ უნდა აწოვო და ქალი სხვა ვეღარაფრისთვის იცლის, ვეღარც სათანადო ცოდნა-განათლებას იღებს. ათ და მეტ ბავშვს რელიგიური ფანატიკოსები აჩენენ. ქალმა, რომელმაც განათლება მიიღო, 20-25 წელს სახლში სამზარეულოში ატარებს, ცოდო არ არის?! ახლა შუასაუკუნეები ხომ არ არის, რა დროსაც ქალი რომ თხოვდებოდა, მეზობელ სოფელში ნამყოფიც კი არ იყო. ევროპაში, განათლებულ საზოგადოებაში რვა-ათბავშვიან ოჯახს ვერსად ნახავთ. ერთ ამბავს მოგიყვებით: მოსკოვის მერმა — ლუჟკოვმა დადგენილება მიიღო, ვისაც ოჯახში რვა ბავშვი ჰყავდა, მათთვის საქალაქო ტრანსპორტი მთლიანად უფასო ხდებოდა. მერე, იცით რა მოხდა? — ლუჟკოვი დასაცინი გახდა. მას არ შეუსწავლია მონაცემები — მოსკოვში ვერ მოძებნეს ვერცერთი ოჯახი, რომელსაც რვა ბავშვი ეყოლებოდა. შუა საუკუნეებში გიორგი მთაწმინდელი წერდა: ვისაც შვიდი-რვა ბავშვი ჰყავს, თუ მდიდარია — წააქცევს და თუ ღარიბია — მიწასთან გაათელავსო. მთავარი ბავშვის აღზრდის ხარისხია. 1989 წლის მონაცემებით, მთელი საბჭოთა კავშირიდან, ათი და მეტი ბავშვი ყველაზე ნაკლები საქართველოში მცხოვრებ ოჯახებს ჰყავდათ. ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, რუსეთში მე-19 საუკუნეში დაბადებულ ბავშვთა 79% თხუთმეტ წლამდე ასაკში იღუპებოდა. წითელათი და სხვა ინფექციური დაავადებებით ბავშვები მასობრივად იღუპებოდნენ. ამავდროულად, ჰიგიენის დაცვის დონეც დაბალი იყო. გერმანიაში ბლოკადის დროს ორი მილიონი მოსახლე ცხოვრობდა და ათასი დაბადებული ბავშვიდან 784 დაიღუპა. რუსეთში ყოველი ათასიდან ერთ წლამდე ასაკში 300-400 ბავშვი იღუპებოდა.

ქართულ ეთნოგრაფიაში, სვანეთში ამბობდნენ: სანატრელია ორი ვაჟი და ერთი ქალიო. მესხეთ-ჯავახეთში ქორწილში მეფე-პატარძალს ასე ლოცავდნენ: სამი ვაჟი და ერთი ქალი შეგეძინოთო. ხომ გაგიგიათ, ერთი შვილი არაშვილი, ორი შვილი ვითომ შვილი, სამი შვილი მართლა შვილიო. დღეს, სამწუხაროდ, კიდევ ერთი პრობლემა განქორწინებაა. ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით მთავრდება. ადრე სამოცდათხუთმეტ ქორწინებაზე ერთი განქორწინება მოდიოდა. ...დანარჩენზე მერე ვისაუბროთ...

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს!

**წინამდებარე ამონარიდებიდან ნათლად ჩანს, რომ ვლადიმირ პუტინი სწორად აფასებს ომის საშინელებებს, მშვიდობის ფასს, ისტორიული მეხსიერების არსსა და მნიშვნელობას თაობებისთვის, პოლიტიკოსების მიერ უპასუხისმგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ძალის სამართალს; ამბობს, რომ არასოდეს უნდა დაირღვეს სახელმწიფოთა ურყევი სუვერენიტეტის პრინციპი, საერთაშორისო საქმეები სამხედრო გზით არ უნდა გადაიჭრას, პოლიტიკა საყოველთაო, მორალურ და სამართლებრივ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს, უკრაინის მიწაზე კი მშვიდობამ უნდა დაისადგუროს...**

**მსოფლიო ხედავს, სადამდე მივიდა სპეციალურ სამხედრო ოპერაციად დაწყებული საომარი მოქმედებები...**

**არც ამ ამონარიდებზე, არც მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, მსოფლიოს ქვეყნების ლიდერებისა და პოლიტიკოსების პასუხისმგებლობაზე კომენტარს არ გავაკეთებ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ, ალბათ, თითოეულმა ადამიანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მომავალში მართლა ქვებითა და ჯოხებით ბრძოლამ არ მოგვიწიოს...**

24 თებერვალს ერთი წელი შესრულდება, რაც რუსეთმა უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაცია დაიწყო...

შარშან, 25 თებერვალს, სამხედრო მოქმედებების დაწყებიდან მეორე დღესვე, პორტალმა „მედუზამ“, რომელიც რუსეთში უცხურ აგენტად არის გამოცხადებული, გამოაქვეყნა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ანტისაომარი გამონათქვამები, რომლებიც მას ხელისუფლებაში ყოფნის 22 წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებზე წარმოუთქვამს.

●

„მშვიდობა, პირველ რიგში, მყარი ეკონომიკა და ხალხის კეთილდღეობაა...“

„ძვირფასო ომის მონაწილეებო, ჩვენ გამარჯვებებს შეჩვეულები ვართ. ეს ჩვევა სისხლში გვაქვს გამჯდარი და ეს არამარტო სამხედრო გამარჯვებების საფუძველი გახდა... ჩვენმა ხალხმა არაერთი ომი გადაიტანა და ამიტომ ჩვენ მშვიდობის ფასი ვიცით, ვიცით, რომ მშვიდობა, პირველ რიგში, მყარი ეკონომიკა და ხალხის კეთილდღეობაა. სწორედ ისინია რუსეთის გარე და შიდა ძალების, მისი თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების საფუძველი. და ამ მთავარ საიდუმლოს — „ომის საიდუმლოს“ — ჩვენ ჩვენს შვილებს გადავცემთ“.

**(ფრაგმენტი დიდი სამამულო ომში გამარჯვების 55 წლისთავისადმი მიძღვნილ აღლუმზე გამოსვლიდან. 2002 წლის 9 მაისი)**

●

„ოღონდ, ომი არ იყოს...“

„უკვე მრავალი წელი გავიდა, თუმცა ომის შედეგები დღესაც გვახსენებს თავს. ადამიანების დანგრეული ცხოვრება, გაყვითლებული გარდაცვალების ცნობები თითქმის ყველა ოჯახში და ცხოვრებიდან ამოვარდნილი ახალგაზრდების მთელი თაობა... თუ არ გეცოდინება, რა გადაიტანა ჩვენმა ხალხმა ომის დროს, ვერ მიხვდები, საიდან აქვთ მათ ომისადმი ასეთი ზიზღი და საიდან დაიბადა ფრაზა, რომელსაც ასე ხშირად იმეორებენ ჩვენი მოხუცები და ახალგაზრდებიც: „ოღონდ, ომი არ იყოს...“

**(დიდი სამამულო ომის დაწყებიდან მე-60 წლისთავი. 2001 წ.)**

●

„თუ ჩვენ ძალის სამართალს დავუშვებთ, ვერცერთი ქვეყანა ვერ იგრძნობს თავს უსაფრთხოდ...“

„ამ სამხედრო აქციას ვერაფრით გაამართლებ: ვერც საერთაშორისო ტერორიზმში ერაყის მხარდაჭერის ბრალდებით (ამგვარი ინფორმაცია არასოდეს გვქონია და არც ახლა გვაქვს), არც ამ ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის სურვილით, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს და ეს მხოლოდ ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებმა უნდა განსაზღვრონ.

ერაყის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო აქცია — ეს დიდი პოლიტიკური შეცდომაა. ჰუმანიტარულის გარდა, დიდი შეშფოთებას იწვევს შექმნილი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის განადგურების საფრთხეც.

თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ საერთაშორისო სამართალი ძალის სამართალმა ჩაანაცვლოს, რომლის თანახმადაც ძლიერი ყოველთვის მართალია და მას ყველაფრის უფლება აქვს, მიზნის მიღწევის საშუალებებში კი შეზღუდული არ არის, მაშინ კითხვის ქვეშ დადგება საერთაშორისო სამართლის საბა-

16 გვ. →



# მიშა – მზე, ვანო – მთვარე, ნაცელიტა – ვარსკვლავები

## მიხეილ სააკაშვილი ადეკვატურობისა და ფსიქიკური წონასწორობის ჩარჩოებს უკვე კარგა ხანია, გასცდა

იმ, „გასხივოსნებულ“ დროში, როცა მიშა მზე იყო, ვანო მთვარე და ნაცელიტა -ვარსკვლავები, ახალი ციხე-კოლონიის გახსნისას „მზემ“ ბრძანა: „ბრალდებულები და მსჯავრდებულები საზოგადოების ხორცმეტები არიან, მაგრამ მე „გულკეთილი“ ვარ, მათ ევროსტანდარტების ციხე-კოლონიები ავუშენე და საუკეთესო პროდუქტებით ვკვებავ.

სინამდვილეში, მათი აშენებული ციხეები მუდმივ შეკეთებას, გამაგრებას საჭიროებდნენ და არც კვება და სამედიცინო მომსახურეობა ჰგავდა „ევროპულს“, მაგრამ აქ მთავარი მესიჯი „ხორცმეტები“ გახლდათ, ვისაც „მიშა-მზეს“ „ძალოვანი შნირები“ სწორედ მისი წახალისებით უსწორდებოდნენ და არაადამიანურად ექცეოდნენ...

მსჯავრედებულმა სააკაშვილმა, რამდენიმე წლის წინათ განაცხადა, რომ ქუჩაში ხალხს კრიმინალები კლავდნენო, მაგრამ ის კრიმინალები მის ხელისუფლებაში, რომ „ბინადრობდნენ,“ აღარ ახსოვდა. მართალია, ნაცების გამოთაყვანებულ მრევლს



და „ნაცშავიფულით“ გამაძღარ მათ „დასავლელ მეგობრებს“ არ სჯერათ იმ გაუგონარი სისასტიკის, რასაც ნაცელიტა სჩადიოდა, მაგრამ არსებობს უამრავი ადამიანი (მათ შორის, მეც), ვინც საკუთარ ტყავზე გამოსცადა, თავის თვალით ნახა, რა ხდებოდა ნაცების ზეობის პერიოდში, ციხეში თუ მის გარეთ.

ციხეებში წამების მეთოდებზე არაერთი ცნობილი თუ უცნობი ადამიანი საუბრობდა და საუბრობს. სულხან მოლაშვილმა არაერთხელ განმარტა, რომ მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში წამება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რამაც საზოგადოების დიდი ნაწილი მონებად აქცია, დაავადმყოფა და დახოცა.

წამების ისეთი ფორმებიც არსებობდა, რომლებიც ფიზიკურ შეხებას არ ითვალისწინებდა, მაგრამ ზემოქმედების მომაკვდინებელი საშუალება იყო პატიმრისთვის. ხშირი იყო ეგრეთ წოდებული გვამების „გაფუჭება“, რომ ცხედარი ჭირისუფალს ექსპერტიზისთვის არ გამოსდგომოდა. იყო გვამების „გამჭრელი“ პატიმარი. პატიმარი, რომელსაც ეს ფუნქცია ეკისრებოდა, კარგ პირობებში იხდიდა სასჯელს. დავალებული ჰქონდა – რომ შემოაკვდებოდათ, ნაწამები პატიმრის ცხედარი მორგში ისე დაემუშავებინა, რომ გარეთ გატანის ან გვამის ექსჰუმაციის შემთხვევაში, ექსპერტიზას მისი გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი ვერ დაედგინა. გარდაცვლილისთვის უნდა ამოეცლია შიგნეულობა და მუცელში, ადამიანის ორგანოების ნაცვლად, იატაკის ჭუჭყიანი ნაჭრები, ხის ყუთის ფიცრები და ათასგვარი სიბინძურე ჩაელაგებინა.

2012 წლის შემოდგომაზე გამომზეურდა ცემისა და წამების უამრავი ფაქტი, რომლებიც გამყარებულია დოკუმენტებით, აგრეთვე, სექსუალური ძალადობის შემცველი ვიდეოები, რომლებსაც ციხეებში იღებდნენ… 2008 წლამდე შპს „კუს ტბა კალა“ ძმებს ხარძიანებს ეკუთვნოდათ, მაგრამ 2008 წლის აპრილში არადამიანურად ნაწამები ბესარიონ ხარძიანი, იძულებული გახდა 7%-იანი წილი „ნაცხროვის“ საარჩევნო სიის პირველი ნომრისთვის, „მსოფლიოში ცნობილი“ მომღერლისთვის, ვახტანგ კიკაბიძისთვის დაეთმო. დეკემბერში კი ბესო ხარძიანმა 11% გია უდესიანს გადაუფორმა, რამდენიმე დღეში კიდევ 11% – უდესიანის მეუღლეს. ხარძიანის ოჯახის წევრებმა ერთ დღეში ექვსი ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმეს და წილები იძულებით გაყიდეს. ბიზნესმენი ბესო ხარძიანი ნარკოტიკების მოხმარება-შენახვადამზადების ბრალდებით უკანონოდ იყო დაპატიმრებული. მან ციხიდან შემოუთვალა ოჯახის წევრებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მათ სახლში მიაკითხავდნენ, მთელი ქონება და ობიექტების წილები გადაეფორმებინათ. სამწუხაროდ, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ამაოდ ელოდა სამართლიანობის აღდგენას ხარძიანი: „ცუდ გაფრთხილებას ვიძლევი: თუ არ აღდგა სამართლიანობა, 70-იანი წლების სიცილია მონაგონი გახდება საქართველოში!“ – ამის თქმიდან ზუსტად ორ კვირაში ბიზნესმენი ბესო ხარძიანი 2015 წლის 28 მარტს საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ქუჩაში მოკლეს. საჯაროდ, ისევე, როგორც რამდენიმე წლის წინათ გურამ შარაძე. „ყველა დაზარალებული ერთად მივადგეთ ამ ხელისუფლებას და პასუხი მოვთხოვოთ. ყველა დაზარალებულმა ვიცით, ვინ ვისი მფარველია და ვისი ფულით იკვებება“. აღნიშნული განცხადებიდან ერთ კვირაში იმავე ხელწერით მოკლეს იური ვაზაგაშვილი... საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, ხარძიანის მკვლელობაში მხილებული იყვნენ უკრაინის მოქალაქე, 1985 წლის 29 მაისს დაბადებული ოლექსანდრ დამეტოვი და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1973 წლის 04 სექტემბერს დაბადებული ოლეგ დოევი. ბესარიონ ხარძიანი 2015 წლის 28 მარტს საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მოკლეს.“

…დღეს ნაცელიტა უტიფრად ცდილობს, თავის მცირერიცხოვან მრევლს დააჯეროს, რომ ციხეში, მის გარეთ და, საერთოდ, ქვეყანაში სანიმუშო წესრიგი სუფევდა, უდანაშაულო ადამიანების ხმაურიანი დაჭერა, წამება, დახოცვა თურმე, რუსეთის მიერ გავრცელებული სიცრუე იყო. **კრიალაშვილი, შავაძე, რობაქიძე, ვაზაგაშვილი** და სხვა უმოწყალოდ ჩახოცილი უამრავი, უდანაშაულო, საჯიშე ბიჭების ფაქტები „ჩაუდეს“.

დაბა ქსნის N15 საპატიმრო დაწესებულების დირექტორის მოადგილე, **გიორგი კოხრეიძე** და რეჟიმის უფროსი **ლევან ლეჟავა** – 2010 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს, ღამის ათ საათზე სპეცრაზმმა პატიმრები დაბა ქსნის N15 დაწესებულებაში სასტიკად სცემა; ისინი გააშიშვლეს და ცოცხალ კორიდორებში გავლისას რეზინის ხელკეტებს ურტყამდნენ. ამ საქმეში სპეცრაზმელებს **გიორგი კოხრეიძე** და **ლევან ლეჟავაც** ეხმარებოდნენ; **ქიტესა გულისაშვილი, გელა ოსიავა** – დაბა ქსნის N15 საპატიმრო დაწესებულების გამორჩეული ჯალათები. ნაწამები ჰყავთ არაერთი პატიმარი; **ლაშა ბრეგვაძე, დავით ბუხრაშვილი – ლაშა ბრეგვაძე** რუსთავის N17 საპატიმრო დაწესებულებას ხელმძღვანელობდა. მსჯავრდებულ ილგარ მამედ-ზადეს მიერ დაწერილ განცხადება-საჩივარში აღნიშნულია, რომ ბრეგვაძე თავის მოადგილესთან, დავით ბუხრაშვილთან ერთად მამედ-ზადეს სასტიკად აწამებდა; **დავით მარგებაძე,** რუსთავის N6 საპყრობილის დირექტორი – პატიმარ კახაბერ თედლიაშვილის წამებაში მონაწილეობდა; კახაბერ თედლიაშვილი ჩამომხრჩვალი იპოვეს.

ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში, სადაც საზოგადოება თავის სიმაღლეზე დგას, სადაც საზოგადოებას თავმოყვარეობა გააჩნია, მიხეილ სააკაშვილი თავის ნაზირ-ვეზირებთან ერთად, აქამდე ლინჩის წესითაც კი უნდა იყოს გასამართლებული, არადა, საუკეთესო, „ჰაი კლასის“ პალატაში იხდის სასჯელს და მისი „დასავლელი“ მეგობრები იერიშზე გადმოდიან, პრეზიდენტყოფილს კლავთ, აწამებთ და უდანაშაულო „აღმაშენებელს“ციხეს ახეხინებთო. მშვენივრად იციან, რომ მის სახელს უამრავი სისხლი და დარბევა უკავშირდება. სააკაშვილის სახელს უკავშირდება ნულოვანი ტოლერანტობა და ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდა ბიჭები; მის სახელს უკავშირდება კუბდართმოყვარული გია ბარამიძისთვის ბრძანების მიცემა და სვანეთში მძინარე ოჯახზე სარაკეტო იერიშის მიტანა, რომლის შედეგებიც საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება უამრავი ნგრევა, ქუთაისში მემორიალის აფეთქებას შეწირული მსხვერპლი. საკუთრების უფლების ხელყოფა და ბიზნესმენების მიერ ღამის სამ საათზე წილების „ნებაყოფილობითი“ დათმობა; მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება უამრავი უდანაშაულო ადამიანის ციხეში გამოკეტვა, პოლიტრეპრესიები და პოლიტიკური მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ყველა, მათ შორის, მორალსა და ზნეობას მოკლებული მეთოდების გამოყენება. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების გასხვისება. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება იმ სიმახინჯეების აშენება თბილისში და არა მარტო თბილისში, რომელიც საზოგადოებას, სამწუხაროდ, დღემდე ნერვებს უშლის. მიხეილ სააკაშვილის, როგორც მთავარსარდლის სახელს უკავშირდება გორში სამარცხვინოდ ქუჩაში ფორთხვა და საერთაშორისო მედიასაშუალების პირდაპირ ეთერში შიშისგან საკუთარი ჰალსტუხის ღეჭვა. მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება მისი გარემოცვის უეცრად გამდიდრება, მისი დედიკოსთვის უზარმაზარი ადმინისტრაციული შენობების ჩუქება და სხვა მრავალი უძრავი ქონება, რომლის ღირებულება ას მილიონ დოლარზე მეტია. ხოლო მისი ბებიკო მზიას უცხოურ ტურებში ბიუჯეტის ხარჯზე სეირნობა; მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ახალგაზრდა, ლამაზი გოგონებისთვის ბიუჯეტის ხარჯზე უძვირფასესი საჩუქრების გაკეთება და ასევე, ბიუჯეტის ხარჯზე, მისი შვილის სწავლის საკმაოდ ძვირი საფასურის გადახდა და ბოლოს, მიხეილ სააკაშვილის სახელს უკავშირდება ის უდიდესი ავანტიურა და ის უდიდესი ტრაგედია, რომელიც ქვეყანას ტერიტორიების ოცი პროცენტის დაკარგვად, ათეულათასობით დევნილად და ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების პერსპექტივის გაურკვეველი ვადით გადაწევად დაუჯდა… ესაა უმცირესი ჩამონათვალი იმ დანაშაულებისა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის და მისი ვეზირების სახელს უკავშირდება.

ფასდაუდებელი იქნებოდა 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების საქმეში ეროსი კიწმარიშვილის როლი. მისი თვითმკვლელობა თუ მკვლელობაც, მხოლოდ ნაცხროვის ინტერესებში გახლდათ, რადგან სწორედ იმ პერიოდში ის საქართველოს ელჩი იყო რუსეთში და, შესაბამისად, უეჭველია, რომ უამრავ ფასდაუდებელ ინფორმაციასაც ფლობდა. ამ ვარაუდს აძლიერებს მისი დაკითხვის ფაქტი დავითაიას კომისიის მიერ, როდესაც გამწარებულმა გივი თარგამაძემ კიწმარიშვილს პირდაპირ ეთერში ავტოკალამი ესროლა…

წლების წინ, როდესაც ხელისუფლება მიხეილის და მისი რაზმის პასუხისგებაზე ალაპარაკდა, რესპუბლიკელმა სენატორმა, მაკკეინმა და მისმა თანამოაზრეებმა ლოყების დახოკვისა და მოთქმა-გოდების მეთოდს მიმართეს და საქართველოს მთავრობის მისამართით უსტარი აფრინეს, თან სააკაშვილისთვის ბრალის წაყენების გამო იმედგაცრუებაც გამოხატეს. ამერიკის შეერთებულ შტატებს, თუ ის მართლაც დემოკრატიის მექაა, მიხეილ სააკაშვილის მიმართ იმედი ჯერ კიდევ წლების წინ უნდა გაცრუებოდა, მაგრამ ძალმომრეობაზე დამყარებულ დღევანდელ მსოფლიო წესრიგში, „ჩვენი ძაღლიშვილის“ ფორმულა კვლავ აქტუალურია და მსოფლიო ზესახელმწიფოებიც სწორედ ამ ფორმულით სარგებლობენ. მიხეილ სააკაშვილი ადეკვატურობისა და ფსიქიკური წონასწორობის ჩარჩოებს უკვე კარგა ხანია, გასცდა. დღეს, როდესაც დღევანდელი ხელისუფლების ნებისმიერ ქმედებას დასავლეთი, განსაკუთრებით, კორუფციაში ჩაფლული ევროპარლამენტარები, არგუსის თვალით აკვირდებიან და შესაშფოთებლადაც მუდმივად მზად არიან, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დასაწყისში თუნდაც ორჯერ რომ შეშფოთებულიყვნენ, ქართველი ხალხი ავტორიტარიზმს არ მიიღებდა და არც დასავლეთს ექნებოდა ასეთი დაცემული რეპუტაცია დღეს საქართველოს მოსახლეობის თვალში.

**ქეთევან ზარნაძე**

# ემანუელ მაკრონი: „უნდა ვაიძულოთ პუტინი, მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდეს“

მსოფლიო პოლიტიკაში გაურკვევლობამ, ქაოსმა დაისადგურა. ცალკეული ქვეყნების მეთაურები თანახმა არიან, სამყაროში ბირთვული ომი დაიწყოს და მოსალოდნელ შედეგებზე არ ფიქრობენ. მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები შეშფოთებულები არიან შექმნილი ვითარებით და გამოსავალს ეძებენ, მაგრამ აშკარაა — „ომის პარტიის“ მესვეურებს მყარად აქვთ ფესვები გადგმული.

სწორედ შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, შესაჩერებლად დაფუძნდა 60 წლის წინათ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია, რომელიც, ტრადიციულად, თებერვლის შუა რიცხვებში ტარდება. მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიაში კარგად იცოდნენ, თუ რა დამანგრეველი შედეგები მოსდევს ნებისმიერ შეიარაღებულ კონფლიქტს და ამიტომაც თავიანთ ქვეყანაში, ბავარიის მხარეში ჩაუყარეს საფუძველი ფორუმს, რომელშიც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა მონაწილეობს. სათქმელია ისიც, რომ კონფერენციის



ორგანიზატორ-დამფუძნებლებმა თავის დროზე ვერ შეძლეს შეეჩერებინათ ომი ვიეტნამში და სხვადასხვა შეიარაღებული კონფლიქტი...

გასულ კვირას უკვე 59-ედ უმასპინძლა მიუნხენმა კონფერენციას. წლეულს უსაფრთხოების ფორუმზე ორგანიზატორებს რუსეთი არ მიუწვევიათ. სამაგიეროდ, კონფერენციაზე იმყოფებოდა ე. წ. „ფერადი რევოლუციების“ შემოქმედი და მთავარი დამფინანსებელი ჯორჯ სოროსი. ღონისძიებაზე მისი მიწვევა დამაფიქრებელია: სად, რომელ ქვეყანაშია მოსალოდნელი უახლოეს ხანში სახელმწიფო გადატრიალება. გერმანიაში არ ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. ქვეყნის დელეგაცია მონაწილეთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, რომლის შემადგენლობაში 30 სენატორი იყო. დელეგაციას აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი ხელმძღვანელობდა. მიუნხენში ასევე არ ჩასულა ჩინეთის მმართველი სი ძინპინი, რომლის ნაცვლად კონფერენციაში საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ი იმყოფებოდა.

შარშან უსაფრთხოების კონფერენციას ესწრებოდა უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი. თავის გამოსვლაში მან განაცხადა, რომ ქვეყანა აპირებდა ბუდაპეშტის საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გასვლას, რათა ბირთვული იარაღის წარმოება დაეწყო. ზელენსკის გამოსვლაზე რეაქცია არავის ჰქონია, უყურადღებოდ დატოვეს ბირთვული იარაღის შექმნის სურვილი. ზუსტად ერთი წლის წინ უკვე მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლები დონბასისა და ლუგანსკის რეგიონებში, ხდებოდა მოსახლეობის მასობრივი ევაკუაცია... მთავარ საკითხად რჩებოდა, შევიდოდა თუ არა რუსეთის არმია თვითაღიარებულ რესპუბლიკებში. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დააკმაყოფილა დონეცკისა და ლუგანსკის მმართველების თხოვნა, აღიარა ისინი დამოუკიდებელ სუბიექტებად და, იმავე დროს, გასცა „სპეციალური ოპერაციის“ დაწყების ბრძანება. აი, რა განაცხადა გასულ კვირას ტელეინტერვიუში ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა: „...უკრაინაში რუსეთის შეჭრის თარიღი ზუსტად ვიცოდი, თუმცა წავედი და დასაძინებლად დავწექი. როდესაც შტაბის უფროსმა გამაღვიძა და მომახსენა უკრაინაში ჯარების შესვლა, სულაც არ გამკვირვებია. ან რა უნდა გამეკეთებინა“. მისივე განცხადებით, რუსეთთან ომი კიდევ რამდენიმე წელს გაგრძელდება, მაგრამ იქვე დაამატა: „...დღეს ყველაფერია მოსალოდნელი“, — რა ჰქონდა მხედველობაში, უცნობია.

წლეულს კონფერენციის მონაწილეებს ზელენსკიმ ვიდეოჩართვით მიმართა. რუსეთ-უკრაინის ომი დავითისა და გოლიათის ორთაბრძოლას შეადარა. „...კოლექტიური დავითი (ანუ, უკრაინის მოკავშირეები) შევძლებთ გოლიათის, ანუ რუსეთის დამარცხებას“, — განაცხადა ზელენსკიმ. „გოლიათის“ დასამარცხებლად ზელენსკიმ, ტრადიციულად, კონფერენციის მონაწილეებისგან შეიარაღება მოითხოვა.

უცნაური ფაქტია: უსაფრთხოების კონფერენციაზე მშვიდობის დამყარებაზე, უკრაინაში საომარი მოქმედებების შეჩერებაზე საერთოდ არ უსაუბრიათ. კამალა ჰარისის განცხადებით: „...აშშ-ს საკუთარი ინტერესი აქვს უკრაინის მიმართ... უკრაინაში რუსეთის ქმედება დანაშაულია კაცობრიობის წინაშე“. გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა პირობა მისცა კონფერენციის მონაწილეებს, რომ მისი ქვეყანა უკრაინას შეიარაღების შესაძენად დაფინანსებას გაუზრდის. მისივე აზრით, ნატო და მოკავშირე ქვეყნები ხანგრძლივი ომისთვის უნდა მოემზადონ. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რიში სუნაკის განცხადებით, უკრაინას მიაწვდის შორ მანძილზე მოქმედი საარტილერიო დანადგარების ჭურვებს. თუმცა, შეპირებული მოიერიშე თვითმფრინავებისა და ტანკების გადაცემაზე არაფერი უთქვამს. იენს სტოლტენბერგმა პირდაპირ მოუწოდა კონფერენციის მონაწილეებს: „...უკრაინას უნდა მივაწოდოთ ყველაფერი, რაც გამარჯვებაში დაეხმარება. ზოგიერთს ეშინია, რომ ამით კონფრონტაცია გაღრმავდება, ამიტომ ვიტყვი, ყველანაირი მოქმედება რისკის შემცველია“.

განსაკუთრებით საყურადღებო გახლდათ ევროკავშირის პირველი დიპლომატის, ჟოზეპ ბარელის მოწოდება კონფერენციის წევრი ქვეყნების მიმართ — მნიშვნელოვნად გაზარდონ იარაღის წარმოება, ანუ ევროპა გადავიდეს სამხედრო რელსებზე. საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი არ ემხრობა საბრძოლო მოქმედებების რუსეთის ტერიტორიაზე გადატანას: „...უნდა ვაიძულოთ პუტინი, გაიყვანოს ჯარები უკრაინიდან და მოლაპარაკების მაგიდას დაუბრუნდეს. რუსეთთან დიალოგი შესაძლებელია, მაგრამ ახლა მაგისი დრო არ არის“, — განაცხადა მაკრონმა.

ყურადღების ცენტრში მიუნხენში ასევე გახლდათ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვან ი-ს შეხვედრა. ორ ქვეყანას შორის ვითარება ამერიკაში ჩინეთის მეტეოაეროსტატის ჩამოგდების შემდეგ გამწვავდა. ბლინკენმა ჩინეთში დაგეგმილი



ვიზიტიც კი გააუქმა, სადაც ქვეყნის მმართველს სი ძინპინსაც უნდა შეხვედროდა. აშშ ჩინეთს დღემდე ადანაშაულებს საჰაერო სივრცის დარღვევაში. კონფლიქტის შემდეგ პირველი შეხვედრა, გავრცელებული ინფორმაციით, მარტივი არ ყოფილა. ბლინკენი ვან ი-სგან ბოდიშის მოხდას ელოდა, მაგრამ მან მხოლოდ მწუხარება გამოთქვა მომხდარი გაუგებრობის გამო. ბლინკენი აშკარად დაემუქრა ვიზავის — თუ ჩინეთი გააგრძელებს რუსეთთან თანამშრომლობას და მის დახმარებას, სერიოზული პრობლემები შეგექმნებათო. „...ჩვენ არასოდეს მივიღებთ აშშ-სგან მითითებას, როგორი ურთიერთობა გვქონდეს რუსეთთან“, — უპასუხა ვან ი-მ. სხვა რა საკითხები განიხილეს დახურულ შეხვედრაზე, უცნობია. ერთი კი აშკარაა, ორ დიდ ქვეყანას შორის ვითარება მარტივი ნამდვილად არ არის.

აქტუალურად განიხილება ამერიკელი ჟურნალისტის სეიმურ ჰერშის მიერ გამოქვეყნებული მამხილებელი სტატია ბალტიის ზღვაში გაზსადენების აფეთქების თემაზე. ცნობილი გახდა, რომ ამერიკელი სამხედრო მყვინთავები ნორვეგიული გემით მიიყვანეს დანიშნულების ადგილზე, რომლებიც ბაროკამერით ჩავიდნენ წყალქვეშ. აფეთქების მოსაწყობად ხელსაყრელი ადგილი სწორედ ნორვეგიელებმა შეარჩიეს. სკანდინავიელები განხორციელებულ ოპერაციაში მონაწილეობას უარყოფენ, მაგრამ ჰერში მათ თავისმართლებას სიცრუეს უწოდებს. გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში ჰერშმა დაწვრილებით ისაუბრა განხორციელებულ ოპერაციაზე. მისი



თქმით, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თავისი ბრძანებით ხაზი გაუსვა, რომ ევროპა მთლიანად დამოკიდებულია აშშ-ზე. კიდევ ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯონ დუგანმა გამოაქვეყნა წერილი გაზსადენების აფეთქების თაობაზე. მისი მტკიცებით, მას ოპერაციის უშუალო მონაწილე დაუკავშირდა და დაწვრილებით მოუთხრო აფეთქების დეტალები. ამერიკელი ექსპერტები გაზსადენების აფეთქებას აშშ-ის მხრიდან რუსეთისთვის ომის გამოცხადებად აფასებენ, რუსები — საერთაშორისო ტერორიზმად.

გასულ კვირას ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო მოსკოვში იმყოფებოდა. რუსეთში მისი ჩასვლა არავის უკვირს. რუსეთში წასვლამდე ლუკაშენკომ ბრიფინგი გამართა, რომელსაც უცხოელი ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ. კითხვაზე, ჩაერთვება თუ არა ბელორუსი რუსეთ-უკრაინის შეიარაღებულ კონფლიქტში, უპასუხა: „...მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკრაინელი სამხედროები ჩვენთან შემოიჭრებიან“. **CNN**-ის ჟურნალისტს ლუკაშენკომ მიმართა: „..თუ მშვიდობა უნდა ბაიდენს, პოლონეთში რატომ მიდის? თუ მართლა მშვიდობის დამყარება უნდა, აქ, მინსკში ჩამოვიდეს. მოვიწვევ და ჩამოვა ვლადიმირ პუტინიც. ორი აგრესორი პრეზიდენტი შევხვდებით დემოკრატ ბაიდენს. თუ მოითხოვს, ზელენსკისაც ჩამოვიყვან. პირადად გავუგზავნი თვითმფრინავს. ბაიდენი აქ ჩამოსვლით კმაყოფილი დარჩება, მაგრამ იგი არ ჩამოვა“.

უკვე ერთი წელი გავიდა უკრაინაში ომის დაწყებიდან.

მსხვერპლი კოლოსალურია. ბრძოლების შეჩერებაზე, სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს. უკრაინელებს ნატოს გენერლები კონტრშეტევაზე გადასვლას სთავაზობენ, ბლინკენის მოადგილე ვიქტორია ნულანდი ყირიმის დაბომბვისკენ მოუწოდებს... ამასობაში გაირკვა, რომ უკრაინიდან ღარიბი ქვეყნებისთვის გადასაცემად გატანილ მარცვლეულის ნაწილს, 2,8 მლნ ტონას ესპანეთში ღორების საკვებად იყენებენ...

რა ელოდება სამყაროს მომავალში, არავინ უწყის...

**გია ბურდული**
551 71 27 07



# ფილიპ ბარნეტი: ცეცხლს და მახვილს ვერ გადაურჩება სახელმწიფო, სადაც დემოკრატიული პარტია ძლიერია

## მათ სკოლებიდან ამოიღეს ლოცვა, ათი მცნება და სასამართლო სისტემა

წლების წინათ აქტიურად განიხილებოდა ამერიკელი პასტორისა და წინასწარმეტყველ ფილიპ ბარნეტის 2007 წლის ხილვა. კიევში გამოიცა ბროშურა, სადაც მისი წინასწარმეტყველების ყველა დეტალია განხილული (ვიდეომასალა შეგიძლიათ იხილოთ იუთუბიზე). მოგვიანებით მის მიმართ ინტერესი თითქოს მინელდა, ხოლო დღეს მიმდინარე მოვლენების ფონზე ზეაქტიური გახდა...

ბარნეტმა იხილა: მდინარე დნეპრის გასწვრივ აზოვის ზღვიდან ბელორუსის საზღვრამდე, აღმოსავლეთ უკრაინის ყველა რაიონის განადგურდება. „ღმერთმა ზუსტად მაჩვენა, სად დაეცემა რვა ბირთვული რაკეტა. პირველი: კიევს, მეორე: პოლტავას ოლქის ჩრდილოეთი, მესამე ხარკოვს, მეოთხე დონეცკის ოლქის ჩრდილოეთით, მეხუთე ლუგანსკს, მეექვსე ოდესას, მეშვიდე ხერსონის რეგიონს, მერვე ზაპოროჟიეს რეგიონის სამხრეთით. ეს რაც ვნახე ხილვაში: ღმერთმა თქვა — „ხალხებს, რომლებიც ისრაელის წინააღმდეგ მიდიან, რისხვას დაატეხავს“.

ბარნეტის გადმოცემით, ხილვაში მან ნახა ჩერკასის რაიონი: „ავტობუსი ჩავიდა პატარა ქალაქში და აღმოსავლეთისკენ გაჩერდა და დავინახე მთა, რომელიც რაკეტის ფორმის იყო, მთის წვერზე თოვლი იდო და ეს ყველაფერი ქალაქის განაპირას ხდებოდა. მოჩანდა ტყე, ხოლო მთა ვულკანს ჰგავდა და როცა დავინახე, გავიფიქრე: „უკრაინაში ასეთი მთები არ არსებობს“. უცებ სიზმარში გამახსენდა, რომ მრავალი წლის წინათ, ამ ქალაქში იმავე ადგილზე ვნახე ეს მთა. თუმცა ქალაქიდან ბევრად შორს იყო, ახლა კი ბევრად უფრო ახლოსაა და გაცილებით დიდია. ქალაქში უამრავი ტურისტი მოძრაობდნენ. შოკში ვიყავი, რომ ადგილობრივები ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს მთა მალე აფეთქდებოდა და ასი კილომეტრის რადიუსში ყველა და ყველაფერი განადგურდებოდა. ხილვაში, კითხვაზე, რა ჰქვია აღნიშნულ მთას, ერთხმად მპასუხობენ, აზოვ-მენა. “აზოვი-მენა” ნიშნავს, რომ აზოვის ზღვიდან ბელორუსის საზღვრამდე, მდინარე დნეპრის გასწვრივ, განადგურდება აღმოსავლეთ უკრაინის ყველა რაიონი.

რაც შეეხება კიევს, ფილიპ ბარნეტის გადმოცემით, ხალხი ორჯერ დატოვებს ქალაქს. პირველად, როცა რუსული არმია კიევს დაიკავებს, ეს არ იქნება ბრძოლა და მეორედ, ევაკუაცია მოხდება მაშინ, როდესაც ბირთვული რაკეტა ჩამოვარდება. ღმერთმა მითხრა: „თუ ვინმეს სურს გადარჩეს, ის უნდა გაიქცეს სამხრეთ-დასავლეთისკენ, კარპატების მთებისკენ, რადგან ღმერთი არ დაუშვებს უკრაინის ამ რეგიონის განადგურებას“.

ბარნეტის გადმოცემით, იგი 1980 წლის აგვისტოში ოკლაჰომაში ქრისტიანულ რადიოში მუშაობდა და ოთხსაათიანი გადაცემა ჰქონდა. რომელიც იმავე რადიოში პასტორი ქადაგებდა ამერიკისა და დასავლეთ ევროპის განადგურებაზე, იმ ხედვაზე, რომელიც მას ჰქონდა ამ განადგურების შესახებ, როცა ამერიკასა და რუსეთს შორის ომი იქნებოდა. ასახელებდა ქალაქებს, რომლებიც მიწასთან გასწორდებოდა და ხალხს მონანიებისკენ მოუწოდებდა. თუმცა, ათეული წლების შემდეგ წერდა: „ღმერთმა მაჩვენა, ამერიკის რა ტერიტორიები და ქალაქები განადგურდება ამ ომის დროს: ვაშინგტონი, სადაც ორი ბირთვული ბომბი ჩამოვარდება, ბალტიმორი, მერილენდი, ნიუ-იორკი (სამი ბირთვული ბომბი ჩამოვარდება), ბოსტონი, მასაჩუსეტსი, ჩიკაგო, ილინოისი, კლივლენდი, ოჰაიო, დეტროიტ მიჩიგანი, ლოს-ანჟელესი და სან-ფრანცისკო. ასევე, დაზარალდებიან ბირთვული ბომბებით. ეს ბოლო ორი რაიონი ყველაზე დასახლებულია აშშ-ში, სადაც ას მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. დეტროიტი სამხედრო ტექნოლოგიების ქალაქია.



ვერც რუსეთი გადაურჩება ღვთის რისხვას: „ხილვაში ვნახე რუსეთის რუკა, ბელორუსის საზღვრიდან ურალის მთებამდე, ეს არის რუსეთის ნაწილი, რომელიც განადგურდება. ბიბლიაში უფალმა თქვა: „ცეცხლს გამოვგზავნი მაგოგის მიწაზე“. ღმერთმა მაჩვენა, რომ რუსეთში იქნებოდა დაცვის დერეფანი, თუმცა, თითქმის მთელი დასავლეთ რუსეთი განადგურდებოდა.

ცეცხლს და მახვილს ვერ გადაურჩება ეგრეთ წოდებული „ლურჯი“ სახელმწიფოები, სადაც დემოკრატიული პარტია ძლიერია, ისინი განადგურდებიან, რადგან სწორედ დემოკრატები არიან პასუხისმგებელი ამერიკულ და ევროპულ კანონებში უღვთო ცვლილებებზე. მათ სკოლებიდან ამოიღეს ლოცვა, ათი მცნება და სასამართლო სისტემა.

1941 წლის 22 ივნისს, თითქმის მილიონიანი კიევის მოსახლეობის ერთ მეოთხედს ებრაელები წარმოადგენდნენ. 1941 წლის 19 სექტემბერს, კიევში ნაცისტების შესვლის შემდეგ, უკრაინის დედაქალაქში კიდევ რჩებოდა ორმოცი ათასამდე ებრაელი. კიევის აღებიდან ცხრა დღის შემდეგ ნაცისტების საოკუპაციო რეჟიმი კიევის ქუჩებში გამოაკრავს განცხადებას, რომელიც მოუწოდებდა ყველა ებრაელს, მომდევნო დღეს, დილის რვა საათზე შეკრებილიყვნენ ბაბი იართან მდებარე ებრაული სასაფლაოს სიახლოვეს. განცხადების თანახმად, შეკრების მიზეზი ებრაელების სხვა ტერიტორიაზე გადასახლება იყო. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ებრაელებს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდათ. სექტემბრის ბოლოს ორ დღეში გერმანელებმა დახვრიტეს ოცდათოთხმეტი ათასი ებრაელი. მანამდე, 14 სექტემბერს, სამი ათასხუთასი ებრაელი (მათ შორის ქალი და ბავშვი) დახოცეს ნიკოლაევში. ნიკოლაევის შემდეგ ხერსონში ოთხი ათასამდე ებრაელი, მელიტოპოლის ორი ათასამდე ებრაელი, მარიუპოლის რვა ათასამდე ებრაელი. ჟიტომირში აინზაცჯგუფი გაანადგურებს ოთხი ათას, ვინიცაში თხუთმეტი ათასს, ბაბი იარამდე სამი დღით ადრე, ნაცისტები სამი დღის განმავლობაში კამენეცკ-პოდოლსკში დახოცავენ ოცდასამი ათას ექვსას ებრაელს. თორმეტი ათასი ებრაელი დახვრიტეს ბერდიჩევში. ბარნეტი იმედოვნებს, რომ ას ორმოცდაოთხი ათასი ებრაელი მახარობელი ააღორძინებს დასავლეთ უკრაინას, მანამდე კი ევანგელურ სარწმუნოებაზე „მოაქცევს“. იგი გულისტკივილით იხსენებს ბაბი იარს, ადგილს, სადაც ოფიციალურ მონაცემზე ბევრად მეტი, ასი ათასზე მეტი ებრაელი მოკლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაელები იყვნენ.

„როდესაც ნაცისტებმა დაიპყრეს კიევი. როვნოში მითხრეს, რომ, როცა ნაცისტები ებრაელებს ხოცავდნენ, ბევრი უკრაინელი წავიდა როვნოს მახლობლად მდებარე ტყეში, დაიჭირეს იქ თავშეფარებული ებრაელები და ან გერმანელებს გადასცეს, ან თვითონ დახოცეს.

როდესაც წითელი არმია შევიდა კიევში, რატომღაც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას სურდა, ხალხის მეხსიერებიდან წაეშალა ბაბი იარის ტრაგედია, მათ ააშენეს კაშხალი და დატბორეს მთელი ადგილი წყლით, მაგრამ კაშხალი დაზიანდა და ცხედრები წყლის ზედაპირზე ტივტივებდა. თუ ამ ტრაგედიაში საბჭოეთი არ მონაწილეობდა, თუნდაც ირიბად, მაშინ რატომ ცდილობდნენ ამის დამალვას?“

აღსანიშნავია, რომ მისი წინასწარმეტველებით დაბომბვის შედეგად დაზიანდება ჰიდროელექტროსადგური, რაც კიევის სერიოზულ დატბორვას გამოიწვევს. ბარნეტის წინასწარმეტველება მოცულობითია და რთულად გასარკვევია. ის არაერთ ომზე მოგვითხრობს არცთუ სასიამოვნო შედეგებით. რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ მისი „ხილვა“: „როდესაც დაიწყება ომი ისრაელის წინააღმდეგ, უკრაინის მთავრობა დადებს შეთანხმებას რუსეთის მთავრობასთან და ეს საშუალებას მისცემს რუს ჯარებს, შევიდნენ აღმოსავლეთ უკრაინაში და იარონ მდინარე დნეპრის საზღვრებზე უკრაინის არმიის ნაწილებთან ერთად. ახალი ძალით იმძლავრებს ანტისემიტიზმი. ბევრ ებრაელს აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინაშიც კი დააპატიმრებენ და დახვრეტენ. ღმერთმა მაჩვენა, რომ ბევრი ახალი ბაბი იარი იქნება ლუგანსკსა და დონეცკში, ბევრ ებრაელს დააპატიმრებენ და მოკლავენ, როდესაც რუსული არმია აღმოსავლეთ უკრაინაში გაივლის. ვერ წარმომიდგენია, რომ იუშჩენკო დაუშვებს, რუსული ჯარები უკრაინაში შევიდნენ. უეჭველია, ეს იქნება მაშინ, როცა იუშჩენკო პრეზიდენტი აღარ იქნება. რუსული ჯარები აღმოსავლეთ უკრაინაში საბრძოლველად არ ჩავლენ (მეორე ლაშქრობას გულისხმობს), მათ მიიწვევს უკრაინის ახალი მთავრობა, რომელიც უფრო მეტად იქნება მიდრეკილი მოსკოვისკენ და დაიკარგება ნარინჯისფერი რევოლუციის ყველა მიღწევა. მაგრამ დასავლეთ უკრაინა არ დაეთანხმება ამ უკრაინის მთავრობას და, შესაბამისად, რუსეთი გაგზავნის ჯარებს დასავლეთ უკრაინის ყველა რეგიონში, განსაკუთრებით ლვოვში, როვნოში, ჩერნივციში, ივანო-ფრანკოვსკში და დასავლეთის რეგიონების ყველა დედაქალაქში, უკრაინა ორ ნაწილად გაიყოფა.

ფილიპი წინასწარმეტყველებაში წერს: „დააკვირდით ნამგალს ნახევარმთვარის რკალის სახით, ეს ემბლემა არ დაწყებულა სსრკ-ის დროიდან, ნიმროდიც კი ასწავლიდა ხალხს კერპების დამზადებას და თაყვანისცემას. თავი მზის ღმერთად აღიარა, მისი ცოლი მთვარეს მიამსგავსა და მის სიმბოლოდ ნახევარმთვარე აღიარა. მისი ნახევარმთვარის სიმბოლოა “ილუმინატების”, ბანკირების ემბლემა, რომლებიც მსოფლიო სავალუტო სისტემას აკონტროლებენ. როტშილდების ოჯახი მართავს ყველაფერს. ღმერთმა მითხრა, რომ ანტიქრისტე იქნება როტშილდების ოჯახის წევრი. „ილუმინატების“ რელიგია მაგიაა, ისინი მუშაობენ მასონების მეშვეობით, მაგრამ მათი სატანის თაყვანისცემის სიმბოლო ხშირად ნახევარმთვარეა.

ნახევარმთვარე ასევე მუსლიმთა სიმბოლოცაა.იოელი 2:20 - ეს ლექსი აღწერს ახალი “საბჭოთა” არმიის ბედს, მას შემდეგ, რაც ის ისრაელთან საბრძოლველად გამოვა, ის ტერიტორია, საიდანაც ის გამოდის, განადგურდება. და ამ ქვეყნების ჯარები დაიწყებენ ბრძოლას ერთმანეთთან. რუსეთში პრესის თავისუფლება არ არსებობს, გერმანიაში არსებობს, თუმცა ანტიევანგელურია. გერმანია დამარცხდა ორ მსოფლიო ომში და როდესაც ისრაელის წინააღმდეგ კონფლიქტი დაიწყება, ის გააფრთხილებს გარშემომყოფებს, რომ ჩვენ ბირთვული ომის წინაშე ვდგავართ. ღმერთმა მითხრა, გერმანელებს შეეშინდებათ, როცა ეს ომი დაიწყება, შეეცდებიან, თავიდან აიცილონ და გააპროტესტებენ რუსების გადაწყვეტილება, მაგრამ ახალი “საბჭოთა” არმია არაფერს უსმენს და დაიწყებს ბრძოლას. და მას შემდეგ, რაც ბირთვული ბომბები ჩამოვარდება რუსეთის ტერიტორიაზე, რუსული ჯარები შეეცდებიან გაქცევას ირანისა და ერაყის გავლით, კასპიის ზღვის პირას. და ამ „ბილიკს“ ორჯერ გამოიყენებენ. არმაგედონის ბრძოლამდე ისინი იმავე „ბილიკს“ გამოიყენებენ, რათა დაბრუნდნენ და ბოლომდე გაანადგურონ ებრაელთა ნარჩენები. და ამ “საბჭოთა” ჯარებს, როცა გაიქცევიან, მოუწევთ ბრძოლა ყაზახეთის საზღვრამდე, რადგან მუსლიმები მათ უღალატებენ. რუსული არმიის, ერთი მეექვსედი გაემართება კასპიის ზღვის გასწვრივ, წყნარი ოკეანისკენ, მისი ნარჩენები გაიქცევიან ცენტრალურ ციმბირში.

ფილიპის გადმოცემით, ღმერთმა მას შეახსენა, რომ ათასწლეულის დასაწყისში მან რუსეთის მიწა არგუნა უკრაინას და ამით გააფართოვა უკრაინის საზღვარი აღმოსავლეთით. რადგან იერუსალიმის წინააღმდეგ საბრძლველად კიევი შეუერთდება რუსეთს, უკრაინის დედაქალაქი გახდება ლვოვი. ეს არ მოხდება ორმოცდაათი წლის შემდეგ, ბევრად ადრე განვითარდება მოვლენები. გახსოვთ, ნოე? მაშინ მხოლოდ რვა ადამიანი გადარჩა. იმდენად ცოტა ადამიანი დარჩება ცოცხალი პლანეტაზე, რომ ღმერთმა თქვა ესაია წინასწარმეტყველის წიგნში: „ხალხი ძვირფას ოქროზე ნაკლები იქნება“. ას მილიონზე მეტი ამერიკელი მოკვდება. ინგლისიც განადგურდება. ეს სამყარო განიკითხება, ღმერთი დაიღალა ამდენი ცოდვით, განრისხდა და აღარ დაუშვებს თავისი ქმნილების გადაგვარებას! ფილიპს იმედი აქვს, რომ ხილვას გამოიყენებენ ებრაელი ევანგელისტები, რომლებსაც ის მახარებლებს უწოდებს...

**მარიამ ჯანჯღავა**

# ქართულ მედიაში ჩაკარგული სამი ძირითადი პრინციპი




## რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ მედიასამართლოს შესახებ და რატომ არ მოქმედებს ევროკავშირის დირექტივები ქართული მედიის მიმართ

ბოლო ხანს ჩვენი საზოგადოება შეწუხებულია ზოგიერთი პოლიტიკურად ანგაჟირებული მედიასაშუალების ცილისმწამებლური ტელესიუჟეტების გამო, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ არღვევენ ადამიანის პირად სივრცეს და კანონით აღიარებულ თავისუფლებას.

მცდარია მოსაზრება, თითქოს მსოფლიოში მედიასაშულებები აბსოლუტური თავისუფლებით სარგებლობენ. არადა, საერთაშორისო სამართალში, კერძოდ, სტრასბურგის გადაწყვეტილებებში, არსებობს არაერთი ფაქტი, მაგალითი, როდესაც მედიასაშუალებებს სამართლისა და ზნეობრივი პრინციპების დარღვევის გამო სოლიდური ფულადი კომპენსაცია დაეკისრათ. ამ ფაქტების შესახებ აუცილებლად ვისაუბრებთ, მაგრამ ამჟამად გვსურს, კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ ის მწარე რეალობა, პრობლემა რომელშიც ზოგიერთი პოლიტიკურად ანგარიჟებული მედია დღეს საქართველოში გვაცხოვრებს.

ცნობისათვის: თანამედროვე მედიაში სენსაციას, ექსკლუზივს, როგორც ჟურნალისტიკის ჟანრს, ისე იყენებენ, მაგრამ მხოლოდ საზოგადოების ყურადღების მიპყრობის ხარჯზე, რომელიც უმეტესად გასართობ შოუს უფრო ემსგავსება ვიდრე საინტერესო შემოქმედებას, რომელსაც. როგორც სპეციალისტები ამბობენ, არაფერი აქვს საერთო პროფესიონალიზმთან.

ტელეეკრანებიდან ლამის ყოველდღე ვუყურებთ ისეთ შეურაცხმყოფელ სიუჟეტებს, როცა ჟურნალისტი ლამის სხვის სახლში შეჭრილი, კარში ფეხის დადებით, მიკროფონის პირში ჩაჩრით, ფაქტობრივადმ აიძულებს მოქალაქეს საკუთარი აზრის გამოხატვას. ამ ფონზე საზოგადოებაში რჩება განცდა, რომ ჟურნალისტი აბსოლუტური იმუნიტეტით სარგებლობს და ადამიანი თითქოს ვალდებულია, მის ყველა კითხვას უპასუხოს!

„საერთო გაზეთი" განაგრძობს სტატიათა ციკლს მედიასამართლის შესახებ, სადაც დეტალურად ვისაუბრებთ მედიასამართლის, როგორც იურისპრუდენციის ერთ-ერთი დარგის შესახებ, მიმოვიხილავთ საქართველოში არსებულ მედიის სამართლებრივ მდგომარეობას, მოვუსმენთ სამართლის ექსპერტებს, შევეხებით საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას და, რაც მთავარია, მკითხველს შევთავაზებთ კონკრეტულ გზებს, როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები მედიის წარმომადგენელთა არაეთიკური ქცევებისგან.

### მედიასამართლის, როგორც იურიდიული დარგის, წარმოშობის ისტორია

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში მკითხველს შევთავაზეთ ინტერვიუ პროფესორ ზვიად გაბისონიასთან, სადაც იმ ასპექტებზე გვესაუბრა, რასაც აქამდე სოციალური მედიის (ფეისბუკი, ისტაგრამი და სხვ.) გამოყენების დროს, შესაძლოა, ყურადღებას არ ვაქცევდით.

საქართველოში რომ ნელ-ნელა იხვეწება მედიასამართლის ეს დარგი, ამას მოწმობს თუნდაც პროფესორების **სერგო ჯორბენაძის, ზურაბ მაჭარაძისა** და **უშანგი ბახტაძის** ავტორობით გამოცემული ახალი ნაშრომი **„მედიასამართალი"**.

გთავაზობთ ამ წიგნის შინაარსის დეტალურ მიმოხილვას. ვფიქრობთ, თავისი აქტუალურობით საზოგადოებისთვის ყურადღებას აუცილებლად დაიმსახურებს.

### მედიასამართლი, როგორც ცალკე სამართლის დარგი

„მედიასამართლის, როგორც სამართლის დარგის წარმოშობის საფუძვლად, შესაძლებელია, კაცობრიობის ტექნოლოგიური წინსვლის პერიოდი მივიჩნიოთ. სამართლის სხვა დარგებთან შედარებით, იგი უფრო გვიან წარმოიშვა. აღნიშნული პირდაპირ კავშირშია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასა და საზოგადოების მიერ მათ მოხმარებასთან. შესაბამისად, მედიასამართლის, როგორც სამართლის დარგის განვითარება, ტექნოლოგიური საშუალებების განვითარებაზეა დამოკიდებული. ასე, მაგალითად, ინტერნეტსამართალი ნახევარი საუკუნი სწინ საერთოდ არ არსებობდა, როგორც სამართლის კონკრეტული სახის დარგი. აღნიშნულმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა შესაძლებელი გახადა მასობრივ კომუნიკაციასა და ინდივიდუალურ კომუნიკაციას შორის საზღვრების გაუქმება, რამაც ინფორმაციის გავრცელებასა და, შესაბამისად, მოსაწესრიგებელი სფეროს გაფართოებას შეუწყო ხელი. ალტერნატიული მედიის საშუალებად კი მოიაზრება მეორადი მასობრივი კომუნიკაცია, რომლის განხორციელებაც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია. მაგალითად, ინტერნეტბლოგების შექმნა, სოციალური ქსელები, რომელზეც იტვირთება ფიზიკური პირის მიერ განთავსებული გარკვეული ინფორმაცია, ან გამონათქვამები და სხვ. მედიასამართლის როლი საზოგადოების თანამედროვე განვითარების ეტაპზე დიდია იმდენად, რამდენადაც ადამიანები ყოველდღიურად ურთიერთობენ მედიასთან და მასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებიან. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს, როგორც კონკრეტული ინფორმაციის მიღებით, ისე – ინფორმაციის გაცემით, საჯარო გადაცემებით და ა.შ. თითოეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, დაცული ქნას ის სამართლებრივი წინაპირობები, რაც მედიასამართლის მონაწილე მხარეებს კანონის საფუძველზე შესაბამისი უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას მისცემს. მედიასამართლის საგანი დაკავშირებულია მედიასაშუალების საქმიანობასთან. ის ძირითადი ფუნქციები, რაც უკანასკნელ მათგანს გააჩნია, წარმოადგენს სწორედ მედიასამართლის ძირითად არსს. კერძოდ, მედიის საქმიანობა განისაზღვრება მისი სამი ძირითადი ფუნქციით: **სიზუსტე, ობიექტურობა და გასაგებობა**. პირველი მათგანის მნიშვნელობა დიდია იმდენად, რამდენადაც ზუსტ ინფორმაციაზე დამოკიდებულია უშუალოდ მედიის მომავალი პოპულარიზაცია, მაყურებელთა ნდობა, მისი რეიტინგი, რაც გავლენას ახდენს კომერციულ შემოსავლებზე და სხვ. ობიექტურობის დაცვა ზუსტი ინფორმაციის მიწოდების პირდაპირპროპორციულია. ობიექტურობა, ზუსტი ინფორმაციის გაშუქებასთან ერთად, რეალობის ობიექტურ ფაქტორებზე დაფუძნებით ასახვას გულისხმობს. რაც შეეხება გასაგებობას, ზუსტი და ობიექტური ინფორმაცია ისე უნდა იქნას გადმოცემული მედიასაშუალებით, რომ ნებისმიერ მსმენელს შეეძლოს აზრის გამოტანა და საკუთარი დასკვნის გაკეთება. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი ასახვას ჰპოვებს მედიის ობიექტურ საქმიანობაში. მისი დაცვა მედიის დამოუკიდებლობის საწინდარს წარმოადგენს".

ცოტა უხერხულიცაა, სიზუსტის, ობიექტურობისა და გასაგებობის შესახებ ვისაუბროთ, როცა საქმე იმ მედიასაშუალებებთან გვაქვს, რომლებიც მხოლოდდამხოლოდ პოლიტიკური ანგაჟირებულობით ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და, ფაქტობრივად, მათი პროდუქტი ყოველგვარი ჭეშმარიტებისგან არის დაცლილი.

### რატომ არ მოქმედებს ევროკავშირის დირექტივები ქართული მედიის მიმართ

როგორც ამ საინტერესო ნაშრომიდან ვკითხულობთ, მედიასამართლის საკანონმდებლო ბაზა, ძირითადად, აგებულია ადგილობრივ (ქვეყნის შიდა) და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში საკმარისად არის კანონები, რომელთა წყალობითაც, როგორც მედიას, ასევე საზოგადოებას, შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა. როგორც წიგნის ავტორები განმარტავენ, ძირითადი მაინც საქართველოს კონსტიტუციაა, ხოლო ტელევიზიების ქცევის წესებს აწესრიგებს „მაუწყებელთა შესახებ კოდექსი". აქვე ნიშანდობლივია ერთი გარემოება, რაც პირადად ჩემში გაკვირვებას იწვევს. ნაშრომის ავტორთა განმარტებით, საქართველოში არ მოქმედებს ევროკავშირის დირექტივები, რომლებიც თანამედროვე ევროპულ სამართალში ძირითად საკანონმდებლო ბაზას ქმნიან. საზოგადოებისათვის ცნობილია ამასთან დაკავშირებული ერთი ფაქტი, როდესაც 2018 წელს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია (GNCC) პარლამენტისაგან „მაუწყებლობის შესახებ კანონში" ცვლილებების განხილვის დაჩქარებას ითხოვდა. ევროპის დირექტივა შეეხებოდა ცვლილებათა ერთ ნაწილს, სიძულვილის ენის, ომის პროპაგანისა და არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვას. როგორც ვიცით, კომისიის კანონპროექტი მაუწყებლებისა და სამოქალაქო სექტორის ნაწილს მაშინ არ მოეწონა, რადგან მასში გამოხატვის თავისუფლებაში სახელმწიფოს არასასურველი ჩარევის საფრთხეს დაინახა. ბოლოს მესამე სექტორმა იმდენი „იჩალიჩა" კანონპროექტი ჩავარდა და, შედეგად, სიძულვილის ენამ ტელესივრცეში მტკიცედ მოიკიდა ფეხი.




ამ ფონზე, რა თქმა უნდა, ისმის კითხვა: რატომ? იქნებ, ჩვენ უფრო მეტი დემოკრატები ვართ, ვიდრე ევროპელები, თუ ამის მიღმა ზოგიერთი თავაშვებული მედიასაშუალების მიმართ დამატებითი წესების არშემოღების უკან სხვა განზრახვა და მიზანი იმალება? რა თქმა უნდა, მაშინ მედიის მხრიდან აღარ ექნებოდა ადგილი მსგავს ქაოსს და ვერც შავი ნოდარიკო მოგვიწყობდა უცხო შოუს „ტვ-პირველის" ეკრანიდან...

სამწუხაროდ, ევროკავშირს „მაუწყებლობის შესახებ კანონში" დამატებითი რეგულაციების ჩავარდნის გამო მესამე სექტორის მიმართ საყვედურიც კი არ დასცდენია...

**ლევან ჭიღლაძე**

**გაგრძელება იქნება**

# ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინს!

11 გვ.

ზო პრინციპებიდან ერთ-ერთი — სახელმწიფოთა ურყევი სუვერენიტეტის პრინციპი და მაშინ ვერავინ, მსოფლიოს ვერცერთი ქვეყანა ვერ იქნება უსაფრთხოდ, ხოლო დღეს გაჩენილი არასტაბილურობის ფართო კერა უფრო და უფრო გაიზრდება და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ნეგატიურ შედეგებს გამოიწვევს“.

**(ამონარიდი ერაყში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებულ მთავრობის ხელმძღვანელთა, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელთა სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან. 2002 წ.)**

●

„გაეროს პირდაპირი სანქციების გარეშე დაწყებული ომი მშვიდობის საფუძვლებს არყევს...“





„ჩვენ საერთაშორისო საქმეების სამხედრო გზით გადაჭრის წინააღმდეგი ვართ, მით უმეტეს, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს პირდაპირი სანქციის გარეშე, რადგან ეს საყოველთაო მშვიდობის საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებს არყევს...“

(ფრაგმენტი ტელეარხ „ალჯაზირასთვის“ მიცემული ინტერვიუდან. 2007 წ.)

●

„პოლიტიკა საყოველთაო მორალურ და სამართლებრივ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს...“

„ჩვენი ზნეობრივი ვალი, ყველა ხალხების ვალია, არასოდეს დავივიწყოთ დიადი გამარჯვების მნიშვნელობა, ნამდვილი მოკავშირეობის ფასი და ჩვენი საერთო ისტორიის დრამატული მოვლენები.

თუ ომის პირველ დღეს გავიხსენებთ, უნდა დავფიქრდეთ, რამ მიიყვანა მსოფლიო საბედისწერო ზღვართან, სადამდე მივყავართ პოლიტიკურ სიმხდალეს, პოტენციური აგრესორის მცდელობას, სხვების უსაფრთხოების ხარჯზე უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება, პირველ რიგში კი, მეზობლების ხარჯზე და არც ის უნდა დავივიწყოთ, სადამდე მივყავართ კულისებსმიღმა ინტრიგებსა და შეთქმულებებს.

თანამედროვე ცივილიზებული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს საერთო-საყოველთაო მორალურ და სამართლებრივ პრინციპებს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია გადავშალოთ მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული ფურცელი დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად და ჩვენი შვილების მშვიდობიანი მომავლისთვის“.

**(ფრაგმენტი მეორე მსოფლიო ომიოს დაწყებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამოსვლიდან. 2009 წ.)**

●

„ჩვენ არასოდეს მოვინდომებთ არც აღმოსავლეთთან და არც დასავლეთთან კონფრონტაციას...“

„ჩვენ გვსურს, რომ უკრაინის მიწაზე დაისადგუროს მშვიდობამ და თანხმობამ, მზად ვართ, სხვა ქვეყნებთან ერთად ამისთვის ყველაფერი გავაკეთოთ, მაგრამ მხოლოდ უკრაინის მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარ სახლში წესრიგის დამყარება...

ჩვენ არასოდეს მოვინდომებთ ჩვენს პარტნიორებთან კონფრონტაციას არც აღმოსავლეთით და არც დასავლეთით. პირიქით, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა კეთილმეზობლური ურთიერთობები დავამყაროთ ყველასთან, როგორც ეს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროშია მიღებული“.

**(ამონარიდი ყირიმში გამართული რეფერენდუმის შემდეგ წარმოთქმული მიმართვიდან. 2014 წ. 16 მარტი)**

●

„ჩვენ ვალდებულნი ვართ, შთამომავლობას დედამიწაზე მშვიდობა და სტაბილურობა დავუტოვოთ...“

„რუსეთი ყოველთვის იქნება მშვიდობის მსურველი ძალების მხარეს, მათ მხარეს, ვინც თანასწორუფლებიან პარტნიორობას ირჩევს, ვინც უარყოფს ომებს, როგორც ცხოვრების არსისა და ადამიანის ბუნებისთვის მიუღებელს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენს შთამომავლობას დედამიწაზე სტაბილურობა და მშვიდობა დავუტოვოთ. დიდება ხალხს, რომელმაც მშვიდობა მოიპოვა!“

**(ფრაგმენტი წითელ მოედანზე გამართული გამარჯვების აღლუმზე წარმოთქმული სიტყვიდან. 2017 წ.)**

●

„მსოფლიო ომმა, შესაძლოა, ყველაფერი ცოცხალი გაანადგუროს. ეს არასოდეს უნდა დავივიწყოთ. სწორედ ამან უნდა დაგვიცვას სახიფათო ნაბიჯების გადადგმისგან...“

„აინშტაინი გავიხსენოთ, ჩემებურად. მან თქვა: „მე არ ვიცი, რითი იბრძოლებენ მესამე მსოფლიო ომში, მაგრამ მეოთხე მსოფლიო ომში იარაღი ქვები და ჯოხები იქნებაო“. იმის შეგნებამ, რომ მესამე მსოფლიო ომი დღევანდელი ცივილიზაციის დასასრული შეიძლება აღმოჩნდეს, უნდა შეგვაჩეროს საერთაშორისო არენაზე თანამედროვე ცივილიზაციისთვის განსაკუთრებულად საშიში მოქმედებებისგან“.

**(პირდაპირი ხაზით მიღებული შეკითხვის პასუხი მესამე მსოფლიო ომის დაწყების შესაძლებლობის შესახებ. 2018 წ.)**

●

„მსოფლიო ლიდერების ამოცანაა — არ დაუშვან მეორე მსოფლიო ომის მოვლენების განმეორება...“

„გულწრფელად მჯერა, რომ თქვენს ახლობლებს არასოდეს მოუწევთ ომის წლებში განცდილ სირთულეებთან შეხება. სწორედ ამაში ვხედავ სახელმწიფოების ლიდერების, პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეებისა და იმ ადამიანების მიზანს, რომლებიც აცნობიერებენ, რამდენად მყიფეა თანამედროვე მსოფლიო. მჯერა, რომ ამის გადატანა აღარავის მოუწევს“.

**(ვლადიმერ პუტინის შეხვედრა მოსწავლეებთან ღია ონლაინ-გაკვეთილის ფარგლებში. 2020 წ. 1-ელი სექტემბერი)**

●

„ჩვენი პასუხისმგებლობაა წარსულისა და მომავლის წინაშე: ყველაფერი გავაკეთოთ, რათა არ დავუშვათ საშინელი ტრაგედიების განმეორება...“

„ჩვენი პასუხისმგებლობაა წარსულისა და მომავლის წინაშე: ყველაფერი გავაკეთოთ, რათა არ დავუშვათ საშინელი ტრაგედიების განმეორება.

ჩვენ ვცდილობთ, შევინარჩუნოთ შეულამაზებელი სინამდვილე ომის შესახებ — სახალხო, ადამიანური სინამდვილე — მკაცრი, მწარე და დაუნდობელი, იმ მწერლებმა და პოეტებმა რომ გადმოგვცეს, ვინც ომის ქარ-ცეცხლი გამოიარა. ჩემზე და სხვა თაობებზე მათმა მართალმა ნაწარმოებებმა წარუშლელი კვალი დატოვეს სულში და ანდერძად იქცნენ: პატივი ვცეთ ვეტერანებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის და გვახსოვდეს ისინი, ვინც ბრძოლის ველზე დარჩა“.

**(ამონარიდი ვლ. პუტინის სტატიიდან „დიადი გამარჯვების 75 წელი: საყოველთაო პასუხისმგებლობა ისტორიისა და მომავლის წინაშე“. 2020 წ.)**

●

„მათი პატიება და გამართლება, ვისაც აგრესიული გეგმები აქვთ, შეუძლებელია...“

„...მაშინ, 1941-ში, წინ ყველაზე სისხლისმღვრელი ომის ოთხი წელი იყო. ომმა ძალიან ბევრი განსაცდელი, უბედურება და ცრემლი მოიტანა და ამის დავიწყება, მათი პატიება და გამართლება, ვისაც აგრესიული გეგმები აქვთ, შეუძლებელია...“

**(ფრაგმენტი წითელ მოედანზე გამარჯვების აღლუმზე წარმოთქმული სიტყვიდან. 2021 წლის 9 მაისი)**

●

„ჩვენი მეზობლები თითქოსდა თავს საფრთხის წინაშე გრძნობენ, მაგრამ გაუგებარია, რის საფუძველზე...“

„ნატო მოწინააღმდეგედ მიგვიჩნევს. ამასთან, თავიანთი სამხედრო ინფრასტრუქტურა ჩვენს საზღვრებთან მოიყვანა. ნატო და მისი წევრი სახელმწიფოები თავს უფლებას აძლევენ, მიგვითითონ, სად და როგორ განვათავსოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები და შესაძლებლად მიაჩნიათ, მოგვთხოვონ, არ ჩავატაროთ დაგეგმილი მანევრები და სწავლებები, ხოლო ჩვენს საკუთარ ტერიტორიაზე ჩვენი ჯარების გადაადგილებას რუსეთის შეჭრის საფრთხედ წარმოადგენენ (ამ შემთხვევაში იგულისხმება უკრაინა). თითქოსდა საფრთხის ქვეშ გრძნობენ თავს ბალტიისპირეთისა და სხვა სახელმწიფოები, ჩვენი მეზობლები, რის საფუძველზე, გაუგებარია...“

**(ფრაგმენტი რუსეთ-საფრანგეთის მოლაპარაკებების შედეგებზე გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლიდან. 2022. 8 თებერვალს)**





**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი**
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: ვვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99